ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 19 მარტი, 2020 №66 (8330) ფასი: 60 თეთრი

გვ.4

## გიგლა ბარამიძე: „ეროვნულმა ბანკმა ლარის კურსი უნდა აკონტროლოს“



17 მარტიდან

ტარიელ ზოზრაშვილი

მთელი მსოფლიო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# ლევან ხაბეიშვილი: „ბაზრობები უნდა დაიხუროს“

გვ.3




„მიკროავტობუსები რომ აღარ დადიან, ეს ნაკადი დააწვა ავტობუსებს და მეტროს“



საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაციაა, რომ ავტობუსში ყველა იყოს პირბადით აღჭურვილი

## დავით მესხიშვილი: „თბილისის მერიის ბევრი გადაწყვეტილება არასწორია“

გვ.2




გვ.3



## სოსო ცინცაძე: „საგანგებო ზომების 80-90% ისედაც ტარდება“

„დღეს ხელისუფლებაც სწორად იქცევა და ოპოზიციაც“



## „დაზარალებულ მოქალაქეებს კრედიტების გადავადებაში პროცენტებს გადაახდევინებენ“

ლევან ჩაჩუა: „ხელისუფლებამ დროებით უმუშევრად დარჩენილები სამი თვის კომუნალური გადასახადებისაგან უნდა გაათავისუფლოს“

გვ.4

## ხათუნა ხოფერია: „ვინც პოლიტიკაშია, ყველამ უნდა იცოდეს, რომ სიტყვებს გაუფრთხილდნენ“

გვ.3



ISSN 1987-9385

5 პოლიციამ თვითიზოლაციის წესების დარღვევისთვის იძულებით კარანტინში კიდევ 28 ადამიანი გადაიყვანა

2 „რა განსხვავებაა, შიმშილით მოვკვდები თუ კორონავირუსით“

5 შსს 20 მარტიდან სერვისების მიწოდებას 1 თვით აუქმებს

6 ევროკავშირის საზღვრები 30 დღით ჩაიკეტა

„საფრანგეთში კორონავირუსით ინფიცირების კლება 8-12 დღეში დაიწყება“

# დავით მესხიშვილი: „თბილისის მერიის ბევრი გადაწყვეტილება არასწორია“

## საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაციაა, რომ ავტობუსში ყველა იყოს პირბადით აღჭურვილი

იაგო ნაცვლიშვილი

**საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოში აიკრძალა მიკროავტობუსების სიარული. პრემიერმა გიორგი გახარიამ ეს იმით ახსნა, რომ ვერ ხდება მძღოლისა და მგზავრების დისტანცირება და ეს აუცილებლად მისაღები გადაწყვეტილება იყო.**

**მთავრობის ამ გადაწყვეტილებას სხვადასხვა წყაროებიდან კრიტიკა მოჰყვა. ერთ-ერთი, ვინც მთავრობა ამ გადაწყვეტილების გამო გააკრიტიკა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ ხელმძღვანელი დავით მესხიშვილია, რომელიც ამ დეტალების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს:**



***— სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ არ შეიძლებოდა მიკროავტობუსების გაჩერება. იქამდე ამბობდით, რომ მიკროავტობუსები იყო ყველაზე დიდი საფრთხე. თუ შეიძლება ახსენით მკითხველისთვის, რასთან გვაქვს საქმე?***

— მანამდე, როდესაც მე მაგას ვამბობდი, ვირუსი არ იყო, მეორეა ის, რომ ჩვენ ვსაუბრობდით გამონაბოლქვზე და მესამეა ის, რომ ახლა კორონავირუსის გამო პრაქტიკულად საგანგებო მდგომარეობაში ვართ და სხვა ვითარებაში გვაცხოვრებს კორონავირუსი.

მე არც მაშინ და არც ახლა არ მომითხოვია ამ ტრანსპორტის აკრძალვა. მე როდესაც ვსაუბრობდი, რომ მიკროავტობუსები იყო რისკი, მაშინ ამას ვამბობდი ჰაერის დაბინძურების ნაწილში. მაშინ არ იყო ეს ვირუსი და სხვა პრიორიტეტები იდგა. ვირუსმა კი შეცვალა მდგომარეობა და პრიორიტეტები. მაშინ ჩვენ ვსაუბრობდით ჰაერის დაბინძურებაზე, იმიტომ, რომ ტექინსპექტირების დროს ვხედავდით, როგორ გადიან ინსპექტირებას. უშუალოდ ტექინსპექტირების დროს არ ბოლავს და მიმართავდნენ გარკვეულ მანიპულაციებს. ახლა, ამ კრიტიკულ სიტუაციაში კი, როდესაც ვირუსის გავრცელებას ლამის მთელი ქვეყანა ებრძვის, ასეთი გაუთვლელი გადაწყვეტილების მიღება კატეგორიულად არასწორი იყო.

არც ერთ მსგავს შემთხვევაში აკრძალვა სწორი არ არის. როდესაც რაღაცას კრძალავ, უნდა გქონდეს რაღაც ჩასანაცვლებელი, მისი საპირწონე. ჩვენ დღეს მივიღეთ შემთხვევა, როდესაც ნაჯახისებური გადაწყვეტილება მიიღეს. ცხადია, ეს არის ტრანსპორტის სამსახურის გადაწყვეტილება და მისი რეკომენდაცია, რომელიც გახმოვანდა. იფიქრეს, რომ მგზავრების რაოდენობა მცირდება და მოდი, აღარ გვინდა ეს და ე. წ. მარშრუტკები გავაუქმოთო.

პრობლემაა ის, რომ მთელი ეს მგზავრთა ნაკადი წავიდა ავტობუსის და მეტროს მიმართულებით. შეიძლებოდა სხვა ქვეყნების გამოცდილების გადმოტანა. როდესაც არის ვირუსის გავრცელების რისკები და მგზავრთა ნაკადი მცირდება, ტრანსპორტი კი არ უნდა აკრძალო, პირიქით, უნდა დაამატო, რომ მგზავრებში კიდევ უფრო სიხალვათე შექმნა და მგზავრებს შორის სიმჭიდროვე შეამცირო. არ ვიცი, ეს გადაწყვეტილება ვინ მოიფიქრა, ან რომელი ქვეყნის გამოცდილებას დაეყრდნო. ამან, პირიქით, კიდევ უფრო გაამწვავა ის თემები, რომელიც ისედაც არსებობდა.

ავტობუსებში, სადაც ბოლო დღეებში მგზავრთა კლება იყო, ახლა ისევ დაემატა. ეს არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო და, სამწუხაროდ, მოხდა. კიდევ ერთი საკითხია ის, რომ ვიღაც ემხრობა ამას. ახლაც, სოციალურ ქსელშიც ვკითხულობ, ვიღაცები ამბობენ, რომ მიკროავტობუსები უნდა აკრძალულიყო, იმიტომ, რომ იქ ბევრი ხალხი იყო და ა. შ. ახლა ბევრი ხალხი ავტობუსშია.

აქ მთავარი საკითხი იცით რა არის? როდესაც ქვეყანაში ჯერჯერობით მხოლოდ რეკომენდაცია გაქვს, რომ მოდი, გარეთ ნუ გახვალ თუ აუცილებელი საქმე არ გაქვს, ამას ვიღაცა დაემორჩილება და ვიღაცა არა. ანუ ეს რეკომენდაციაა.

***— ანუ სავალდებულოდ შესასრულებელი მოთხოვნა არაა, ამაზე საუბრობთ?***

— დიახ, მანდეთ მიმყავს საუბარი, რომ ხალხი მაინც გადის ქუჩაში და დადის ტრანსპორტით. ვიღაცა დადის იმიტომ, რომ გადაუდებელი აუცილებლობა აქვს, ხოლო ვიღაც დადის იმიტომ, რომ გააზრებული არ აქვს ეს საფრთხეები, მაგრამ როდესაც შენ ხარ სახელმწიფო და მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების უფლებას იძლევი და ამავე დროს კრძალავ ტრანსპორტს, ეს არის უპასუხისმგებლობა და არაპროფესიონალიზმიც.

პირიქით უნდა მომხდარიყო, თუ მაინცდამაინც მოხდებოდა, მაშინ ჯერ უნდა შეზღუდულიყო ჩვენი გადაადგილება, ანუ სახლიდან გამოსვლის უფლება, რაც უკვე ჰგავს საგანგებო მდგომარეობას და, სამწუხაროდ, პირიქით მოხდა. ეს არის ძალიან ცუდი გადაწყვეტილება. მე კიდევ ერთხელ ვამბობ და თბილისის მერიასაც მოვუწოდებ, რომ ჩვენი — არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსი გამოიყენონ, ჩვენი კონტაქტებიც საერთაშორისო დონეზე და ასევე რეკომენდაციებიც. იმიტომ, რომ ძალიან ბევრი გადაწყვეტილება, რომელიც ბოლო პერიოდში მიიღეს, არასწორია. თუმცა, დადებით კონტექსტში უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ჩვენი რეკომენდაციების გათვალისწინებაც მოხდა.

***— რას გულისხმობთ?***

— მაგალითად ის, რომ მძღოლი უნდა იყოს იზოლირებული მგზავრებისგან, უნდა მოხდეს პირველი ორ რიგზე სავარძლების გათავისუფლება იმისთვის, რომ მგზავრი არ დაჯდეს და მძღოლი იყოს დისტანცირებული.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მეტროსა და ავტობუსში აუდიოჩანაწერის გაშვებაც გადაწყდა, რომელსაც ექნება სარეკომენდაციო ხასიათი. ესეც იყო ჩვენი რეკომენდაცია და მოხდა მისი გათვალისწინება, მაგრამ არის კიდევ არაერთი რეკომენდაცია, რომელიც არ არის გათვალისწინებული. იმიტომ, რომ შესაბამისი სამსახური ვერ მუშაობს და არ უვარგა მართვა.

***— მაგრამ ორი განზომილება აქვს ამასაც. კარგია, რომ მძღოლების იზოლირება ხდება, მაგრამ სავარძლების ორი რიგი როდესაც გადაიკეტება, ბუნებრივად კიდევ უფრო იზღუდება სივრცეები მგზავრებისთვის. ასე არ გამოდის?***

— კი, ეგრე გამოდის, მაგრამ ახლა, როდესაც მიკროავტობუსები აიკრძალა, ვერც კი წარმომიდგენია, ეგ როგორ უნდა გაკეთდეს. ერთი მხრივ რეკომენდაცია შესრულდა, მაგრამ მეორე მხრივ ისეთი ღონისძიება ჩატარდა, რაც ხელს უშლის ამ რეკომენდაციის შესრულებას. ეს ხდება მაშინ, როდესაც შენ მიაღწევ მგზავრის სიხალვათეს და იმას, რომ სატრანსპორტო საშუალება მგზავრებით გადატვირთული არ არის. გეთანხმებით, რომ ძალიან რთული შესასრულებელია ეგ რეკომენდაცია.

ამ მიკროავტობუსს ყოველდღიურად გადაჰყავს 300.000 მგზავრზე მეტი და ეს ხალხი სად წავიდოდა? წავიდოდა ავტობუსში. ის რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული იყო, ეს მის განხორციელებას ან მის ეფექტიანობას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.

კი ბატონო, მიკროავტობუსი არ მოგვწონს, როგორ კონდინციებშიც იმყოფება ამჟამად, მაგრამ ასე მოხსნა და მოსპო რესურსი, რომელსაც 300.000 მგზავრი გადაჰყავს, ასეთი ხედვა პრინციპულად მცდარია. მრჩება შთაბეჭდილება, რომ მოიფიქრეს ეს და თქვეს, ვნახოთ, რა გამოვაო.

***— თქვენი რეკომენდაცია რაში მდგომარეობს მიკროავტობუსების ნაწილში. თუ დატოვებდნენ, როგორ უნდა გაეკეთებინათ? მით უმეტეს, რომ მძღოლის ადგილის იზოლირება გაცილებით უფრო რთულად შესასრულებელია.***

— კი ბატონო. მიკროავტობუსები უნდა დაგვეტოვებინა და მას ამ ეტაპზე არც უნდა შევხებოდით. პირიქით, უნდა დავლაპარაკებოდით თბილისის მიკროავტობუსებსა და სატრანსპორტო კომპანიას, შესაბამისად, მთელი რესურსით უნდა გამოგვეყვანა ტრანსპორტი, რათა მაქსიმალურად მიგვეღწია მგზავრების შემცირება. მაგრამ ბევრი ტრანსპორტის გამოყვანა არ ნიშნავს ხალხისთვის გზავნილს, რომ ხალხო, გამოდით და იმგზავრეთო. ამავე დროს კამპანია უნდა გვეწარმოებინა, რომ მაქსიმალურად შეიკავონ თავი მგზავრობისგან, რათა მაქსიმალურად მიგვეღწია ერთეული მგზავრობისთვის. გასაგებია, რომ ეს ეკონომიკური თვალსაზრისით წამგებიანია, მაგრამ ახლა ვის სცხელა მაგისთვის?! ეს ხარჯი უნდა გაიღოს იგივე თბილისის მერიამ.

სანაცვლოდ სულ სხვა რამე მივიღეთ. გადაჭედილი ავტობუსები, აკრძალული მიკროავტობუსები მივიღეთ. რეკომენდაცია იყო ისიც, რომ მიკროავტობუსს წაეყვანა მხოლოდ იმდენი მგზავრი, რამდენი სავარძელიც არის, ასევე ჩატარებულიყო დეზინფექცია ყოველდღიურად. გასაგებია, რომ თბილისის მიკროავტობუსები არის კერძო კომპანია, მაგრამ მგზავრთა უსაფრთხოებაზე ისიც აგებს პასუხს. შეიძლება კომპანია წასულიყო ზარალზე, მაგრამ შეიძლებოდა, რომ სახელმწიფო დახმარებოდა ფინანსურად და ვინაიდან კრიზისული სიტუაციაა, ამაზე ჩვენ ხმას არ ამოვიღებდით. ახლა კი სრულიად გაუგებარი მდგომარეობა შექმნეს ავტობუსებში.

***— ამ გადაწყვეტილების შემდეგ ხომ არ გქონიათ ხელისუფლებასთან კომუნიკაცია, ან ხომ არ გეგმავთ, რომ აუხსნათ რისკები?***

— მუდმივად მზად ვართ კომუნიკაციისთვის. იმიტომ, რომ ავტობუსებთან მიმართებაში ბევრი სხვა რეკომენდაციაც არის. მაგალითად, მძღოლის გადამზადება ასეთი ვითარებისთვის. რეალურად საგანგებო ვითარებაში გვიწევს მუშაობა. ის, რომ მუდმივად ფანჯრები უნდა იყოს ღია და ბუნებრივი ვენტილაცია იყოს გამოყენებული, ეს ცხადია. სამწუხაროდ, არ გვაქვს პირბადეები, მაშინ როცა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციაა, რომ მგზავრობისას ყველა პირბადეებით უნდა იყოს აღჭურვილი, ასევე უნდა იყოს საშუალება, რომ ავტობუსში ასვლისას ხდებოდეს ხელის დამუშავება. გასაგებია, რომ ვირუსის გაჩენისთანავე ვაქცინა არ გექნება, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენმა ჯანდაცვამ ელემენტარული ჰიგიენის საშუალებები ვერ მოიმარაგა.

ამ ფონზე მიზანმიმართული კამპანიაა, რომ პირბადეები არაფერს არ უშველის. რა თქმა უნდა, დაცვის გარანტია არ არის, მაგრამ სამედიცინო ნიღაბი, ე. წ. პირბადე მკვეთრად ამცირებს ვირუსის გადადების რისკს. ამიტომ არის საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია, რომ ავტობუსში ყველა იყოს პირბადით აღჭურვილი.

# თენგიზ ცერცვაძე: „კორონავირუსით ინფიცირებული 2 პაციენტის მდგომარეობა მძიმეა“

## „პნევმონია 11 პირთან ფიქსირდება“

ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი თენგიზ ცერცვაძე აცხადებს, რომ კორონავირუსით ინფიცირებული 2 პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

როგორც მან ჟურნალისტებს გუშინ, 18 მარტს, განუცხადა, ზოგ პაციენტს, ასაკთან ერთად, თანმხლები დაავადება აქვს, რის გამოც მათი მდგომარეობა პრობლემურია.

მისივე თქმით, პნევმონია 11 პაციენტს აქვს.



— ჩვენს კლინიკაში ამჟამად სულ წევს 46 ავადმყოფი, მათგან 30 კორონავირუსით დადასტურებული შემთხვევით. გარდა ამისა, 7 პაციენტი, დადასტურებული კორონავირუსული ინფექციით, წევს ქვეყნის სხვა კლინიკებში, რომლებიც, პრემიერის განკარგულებით, განისაზღვრა, როგორც მიმღები ინფექციურ საავადმყოფოსთან ერთად. ანუ, 30 ადამიანი წევს ინფექციურ საავადმყოფოში, 7 წევს დანარჩენ კლინიკებში და ერთი გამოჯანმრთელებული გაეწერა.

37 პაციენტიდან ორის მდგომარეობა მძიმეა. რამდენიმე პაციენტი პრობლემურია, რამდენადაც მათ აქვთ ასაკი და აქვთ თანმხლები დაავადებები, მაგალითად, მაღალი არტერიული წნევა, გულის უკმარისობა ან სხვა.

სულ პნევმონია აქვს 11 ავადმყოფს. რამდენიმე პაციენტის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა, ვისაც პნევმონია აქვს, ხოლო დანარჩენი პაციენტების მდგომარეობა მსუბუქია, — დასძინა თენგიზ ცერცვაძემ.

# „რა განსხვავებაა, შიმშილით მოვკვდები თუ კორონავირუსით“

## რესტორნების დახურვის შემდეგ 100.000 ადამიანი უმუშევარი დარჩა

რესტორატორთა ასოციაციის პრეზიდენტი კოტე გაბრიჩიძე აცხადებს, რომ პრაქტიკულად ყველა რესტორანი დაიხურა და უმუშევრად 100.000-მდე ადამიანია დარჩენილი.

როგორც მან „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განთავისუფლებული თანამშრომლებისთვის კომუნალური გადასახადების გადავადების საკითხი იქნა დაყენებული.

— ჩვენ მთავრობის წინაშე დავაყენეთ საკითხი, რომ პერსონალს, რომელიც შემოსავლის გარეშე დარჩა, დაახლოებით 80.000-დან 100.000-მდე ადამიანს, რალაცნაირად შეუმსუბუქდეს სოციალური გარემო. საუბარი იყო კომუნალური გადასახადების გადავადების საკითხის დღის წესრიგში დაყენებაზე. მესმის, რომ კერძო კომპანიებთანაა საჭირო მოლაპარაკებები. ეს ჩვენ ვიცით, რომ ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და თუ არ დარეგულირდება, შემდეგ ძალიან რთულად მოგვარებადი იქნება სიტუაცია. გვითხრეს, რომ არის მზაობა და კომუნალურ კომპანიებთან ერთად იმსჯელებენ, როგორ შეიძლება სიტუაციიდან იოლად გამოსვლა. საუბარი არაა ჩუქებაზე, საუბარია გადავადებაზე 3 თვით.



ბიზნესი ასეა აწყობილი, რომ შემოსავალი შემომდის და ხელფასს ვაძლევ თანამშრომელს. თუ შემოსავალი არ შემომდის, ველარ ვუხდი ხელფასს. როდესაც სახელმწიფომ გადადგა ეს ნაბიჯი და მე თანამშრომელი გამაშვებინა სამსახურიდან, ჩვენ ვიცით, რომ ამ 100.000 ადამიანს, ვინც სამსახურის გარეშე დარჩა, კომუნალური გადასახადის პრობლემა დაუდგება. მიადგება კომუნალური სამსახური და ეტყვის, რომ უნდა ჩაჭრას დენი. ვაყენებთ საკითხს, რომ სახლში გაშვებულ თანამშრომლებს, ეს იქნება რესტორანი, სასტუმრო თუ სხვა, ყურადღების მიქცევა სჭირდებათ.

კონკრეტულად ჩემი თანამშრომლის, შეფის ნათქვამია, რა განსხვავებაა, მე შიმშილით მოვკვდები თუ კორონავირუსითო, კორონავირუსით შეიძლება გადავრჩე და შიმშილით ხომ უეჭველი მოვკვდებიო. აბსოლუტურად საღი აზროვნებაა, ნეტა ასეთი საღი აზროვნება იყოს მთავრობაშიც, — განაცხადა გაბრიჩიძემ.

მთავრობის რეკომენდაციაა, რესტორნები და კაფე-ბარები ღია მომსახურებიდან მიტანის სერვისზე გადავიდნენ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 294-02-55
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www.akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან ხაბეიშვილი: „ბაზრობები უნდა დაიხუროს“

## „მიკროავტობუსები რომ აღარ დადიან, ეს ნაკადი დააწვა ავტობუსებს და მეტროს“

ნონა ცაბაძე

**საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.**

***– ლევან, როგორ აფასებთ ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს?***

– ჩვენს ქვეყანაში პრევენციული ზომები დროულად დაიწყო და ეს ნორმალურია, თუმცა სხვის შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ. სკოლების, ბაღების დახურვა ძალიან ნორმალური პროცესი იყო. თუმცა, მე არ შემიძლია არ ვთქვა იგივე ბაზრობებთან დაკავშირებით. როცა გამოდიხარ და ამბობ, რომ სკოლა დაიხუროს, ბაღი დაიხუროს, ნორმალურია, სწორია. როდესაც ხურავ ბარებს, კაფეებს, სადაც საშუალოდ 10-15 კაცი იყრის თავს და ამ დროს ათასობით ადამიანი რომ მუშაობს ბაზრობებზე, ამ მიმართულებით არ აკეთებდე არაფერს და ფაქტობრივად კერას ინარჩუნებდე, ეს არ შეიძლება!

***– რატომ არ იხურება ბაზრობები, ეს არის კერძო საკუთრება და მთავრობა ვერ ხურავს?***

– კი ბატონო, კერძოა, მაგრამ ჩაერთოს სახელმწიფო. მოვაჭრეები ამბობენ, რომ იჯარის გადასახადი აქვთ და იძულებული არიან, იმუშაონ. გამოვიდეს სახელმწიფო და თქვას, რომ 2 კვირის განმავლობაში აცხადებს კარანტინს და აძლევს საშეღავათო პერიოდს. ეს ხომ ნორმალურია? იგივე ბაზრობების მეპატრონეები ვინც არიან, თვითონ მილიონებს შოულობენ და ისინიც რომ დაეხმარონ ამ ქვეყანას ამ კრიზისულ მომენტში, მე მგონი, ადეკვატური იქნება.

***– ისმის მოწოდებები, დროა, ბიზნესმა გაიღოს თავისი წილიო.***

– ნამდვილად უნდა გაიღოს. ვირუსი ერთნაირად არის მდიდრისთვისაც და ღარიბისთვისაც. კორონამ არ იცის ფენა! უკაცრავად და რომ შოულობ თვეში 10 მილიონს, დაყაბულდი ამ თვეში 5 მილიონს. მაშინ მოვაჭრეებმა რა ქნან?! ეკონომიკაც მათ მხრებზე დგას და ეს მეპატრონეებიც მაგათ აწევთ კისერზე და ამ ადამიანების 24-საათიანი მუშაობის ხარჯზე ღებულობენ ისინი თანხებს.

ათასობით მოვაჭრე ითხოვს, რომ ორი კვირა სახლში უნდა დარჩენა. იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ვაჭრობა არ არის, მეორეც, მათაც შვილები ჰყავთ, ოჯახის წევრები და ეშინიათ, მათაც უნდათ სიფრთხილე. ამ დროს კი ეუბნებიან, რომ არა, უნდა იმუშაოთ! ამ სიტუაციაში ამ ხალხის ასე დახრჩობა ნორმალურია?!

***– ანუ არის საზოგადოების ნაწილი, ვისაც მუშაობას აიძულებენ ასეთ დროს?***

– გადასახადების გადახდას სთხოვენ და იძულებაა, აბა რა არის. რანაირად გადაიხადოს, თუ არ იმუშავა ამ ადამიანმა?! ასევე მეორე საკითხი.

არ შემიძლია არ შევეხო მიკროავტობუსების აკრძალვას. ერთი ხელით რომ მიკროავტობუსებს კრძალავ, მეორე ხელით რომ მოვაჭრეებს აძალებ, იმუშავეთო, ეს ადამიანები ხომ უნდა გადაადგილდნენ?! მიზანი რა იყო, რომ დისტანცია დაიცვან და ჭყელტა არ იყოს. კერა არის სამარშრუტო ტაქსებიო. ამ აკრძალვამ უარესი მოიტანა.

***– რატომ?***

– მიკროავტობუსები რომ აღარ დადიან, ეს ნაკადი დააწვა ავტობუსებს და მეტროს და ახლა იქ გვაქვს გაუსაძლისი ამბავი. ფაქტობრივად, ჭყლეტა იყო. ამ აკრძალვებით საზოგადოებრივი ტრანსპორტი გახადეს კერა. მივესალმებოდი იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, მეტროსაც გააჩერებდნენ და ავტობუსსაც, გვეტყოდნენ, რომ სრული კარანტინია და დასხედით სახლში. აი, ეს ნორმალური იქნებოდა.

***– უფრო რთული სიტუაცია შეიქმნა?***

– რა თქმა უნდა. ჭყლეტა იყო. როცა არ გაქვს იმის თავი, რომ ამ ადამიანების ნორმალური გადაყვანა უზრუნველყო საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მაშინ არ უნდა აკრძალო. რესტორანში არ მიხვიდე, სკოლაში არ მიხვიდე და ბაზრობაზე მიდიო, ეს ნორმალურია?!

***– კალაძე აცხადებს, რომ მათი გათვლა ასეთია, რომ ხალხი უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოვიდეს სახლიდან და მცირე რაოდენობას მეტრო და ავტობუსებიც ეყოფა.***

– კი ბატონო, მესმის, რომ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოვიდეს და ეს პასუხისმგებლობა ყველა მოქალაქემ უნდა გაიზიაროს, ეს ნორმალურია, მაგრამ როცა ეუბნები, მოდი, იმუშავე და გადასახადი გადაიხადეო, ეს ხალხი სახლში რანაირად დაჯდეს?!

***– ანუ უნდა დაიკეტოს ბაზრობები და სავაჭრო ცენტრები?***

– რა თქმა უნდა! აქ საუბარია ტანსაცმლის მაღაზიებზე, ბაზრობებზე, ფეხსაცმლის



მაღაზიებზე.

***– ლევან, ხედავთ იმის საჭიროებას, რომ გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა?***

– ხელისუფლებას საგანგებო მდგომარეობამდეც აქვს ყველა ბერკეტი, რომ აკრძალვებით მოახერხოს იმდენი, რომ პრობლემა არ იყოს. საგანგებო მდგომარეობა კიდევ სხვა რამეს ითვალისწინებს, ჯარის ჩართვას, ეს კიდევ სხვა სპეციფიკაა, იქ კიდევ ბევრი აკრძალვაა, რაც შესაძლოა ამ ეტაპზე არ იყოს საჭირო. თუმცა ხელისუფლებას ნამდვილად აქვს იმის ბერკეტი, რომ უთხრას ბაზრების და ბაზრობების მეპატრონეებს, ბიზნესმენებს, რომ ორკვირიანი საშეღავათო პირობები გექნებათ და ნუ მოახდენთ ამ ხალხზე ზეწოლას. ან უთხრას ბიზნესს, რომ უკაცრავად, მილიონებს რომ შოულობთ, როგორმე ორი კვირის განმავლობაში უზრუნველყავით ეს პროცესი და სახელმწიფოს გაუწიეთ შეღავათი.

***– ბიზნესშიც ბევრი არაკეთილსინდისიერი გამოდგა და ხელს ითბობს შექმნილი სიტუაციით. დაიწყეს ფასების ხელოვნურად ზრდა და ასე შემდეგ.***

– კრიზისულ სიტუაციაში ბევრი რამ გამოჩნდება ხოლმე, ისიც ცხადია, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ. მოსაფიქრებელია, ასეთ დროს როგორ უნდა მოვექცეთ მართლაც რეალურ ყაჩაღებს, რომლებიც ასეთ დროსაც კი იმას ფიქრობენ, როგორ გამდიდრდნენ.

ეს საკითხი ნამდვილად მისახედია და დღეს ხელისუფლებას ამისთვის ძალები ნამდვილად არ ჰყოფნის, მაგრამ რაზეც მიუწვდებათ ხელი, ის მაინც გააკონტროლონ.

წარმოუდგენელი სიტუაციაა ფარმაცევტულ ბაზარზე. ლარიანი მედიკამენტი 5 ლარი გახადეს.

***– თუკი საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, ყველაფერი გაჩერდა, ეკონომიკურად რამდენად გაუძლებს ჩვენი ქვეყანა? ჩამოიშლებაო, ასეთი შეფასებები გვესმის.***

– ახლა არ შეიძლება კრიტიკა, ყველამ ერთად უნდა გადავიაროთ, ერთმანეთს უნდა მივეხმაროთ. ჩვენი მხრიდან რეკომენდაციაა და არა – კრიტიკა. ვეუბნებით, რომ ბაზრები დახურე და ორი კვირა შეღავათი მიეცი. ეკონომიკას რაც შეეხება, ჩვენ ჩავვარდებით უმძიმეს მდგომარეობაში.

***– ჩამოიშლება ეკონომიკა?***

– როცა ნორმალურ პირობებში ვიყავით, მაშინ არ გვქონდა ეკონომიკა და თქვენ წარმოიდგინეთ ახლა, ამ გაჩერების პირობებში და ამ ხელისუფლების პირობებში, რომელიც ამ კუთხით ვერაფერს აკეთებს, რა გველოდება?!

საკრებულოს სხდომა გაიმართა, შევთანხმდით, რომ დისტანციურად უნდა გაიმართოს შემდეგი საკრებულოს სხდომები და ამ პერიოდში, გაქანებული კორონავირუსის პერიოდში, კალაძემ მოახერხა ის, რომ ბიუროკრატებს ხელფასი გაუზარდა 7 მილიონით.

ახლა ეს ადეკვატურია, რომ ისევ ხელფასებზე ფიქრობდნენ და მაღალი თანამდებობის პირებს რომ ხელფასები გაუზარდონ, ამისთვის გვცალია?! ეს არის ახლა მათი დღის წესრიგი? საკრებულოში ხელფასების ზრდის დროა?!

მთელი თანხები ახლა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, როგორ ჩავაქროთ ეს კრიზისი, ქამრები როგორ შემოვიჭიროთ, ბიუროკრატია როგორ შევამციროთ, აი ამაზე უნდა ფიქრობდნენ და ესენი იმაზე ფიქრობენ, ხელფასები როგორ გაიზარდონ.

ძალიან ცუდია, ამ დროს ასეთი მზაკვრული ფიქრები რომ აწუხებს ხელისუფლებას.

# ხათუნა ხოფერია: „ვინც პოლიტიკაშია, ყველამ უნდა იცოდეს, რომ სიტყვებს გაუფრთხილდნენ“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი ხათუნა ხოფერია პასუხობს.**

***– ქალბატონო ხათუნა, ქართული ოპოზიციის ძირითადი ბირთვი ნაცმოძრაობის სახით, ქართული სახელმწიფოს დამფუძნებლად მიიჩნევს თავს. თქვენ კი განცხადებას ავრცელებთ, სადაც წერთ, რომ მათ სამშობლო არ უყვართ.***

– არა, თქვენ არასწორად ამბობთ. ნაციონალებს სამშობლო სძულთ.

***– გინდათ თქვათ, რომ დღეს ქვეყანას არასათანადო და ქვეყნის არამოყვარული ოპოზიცია ჰყავს?***

– დიახ, სრულიად დაუნახავი და ხელისუფლებაში დაბრუნების თვითმიზნით შეპყრობილი. მათთვის დანარჩენი ყველაფერი აბსოლუტურად სულერთია.

***– როგორ?***

– როგორ და ისე, როგორც სულერთი იყო 2008 წელს, როცა ჯერ საფუძველი მისცეს და შემდეგ საქართველო უპატრონოდ მიაგდეს.

***– თქვენ ამას ამბობთ, მაგრამ ბოლო დროს სააკაშვილი საუბრობდა იმაზე, 2008 წელს, ომის დროს, ძალიან დიდი ერთიანობა იყო და თვითონაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ქვეყანა საბოლოოდ არ ჩამოშლილიყო.***

– ერთიანობა, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ფაქტის წინაშე დაგვაყენეს. ისტორიულ მტერთან პირისპირ დავრჩით საომარ მდგომარეობაში. ჩვენი მეომრები, ღირსეული მებრძოლები და ჩვენი შვილები მიგდებულები აღმოჩნდნენ. მიგდებული იყო კოდორის ხეობა.

რეზერვისტებს დაუძახეს, იარაღი მისცეს და მტერთან საბრძოლველად გაუშვეს. არც მომზადებულები იყვნენ, არც სტრატეგიული გეგმა ჰქონდათ. რეზერვისტებმა დაყარეს იარაღი და დაყრილ იარაღს ორი თუ სამი დღეს კრეფდნენ. მაშინ რუსებმა საქართველოდან ბევრი იარაღი გაიტანეს.

***– საქართველოდან გატანილი იარაღი მოსკოვში გამოფენილი ჰქონდათ.***

– არ ვიცი, რუსებს რა ჯანდაბაში სჭირდებოდათ, მაგრამ ფაქტია, რომ უამრავი იარაღი გაიტანეს. ერთიანობა გამოცხადდა იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყანა დაგვეცცა. მტერი აქეთ არ წამოსულიყო და ხალხი ყოფილიყო სოლიდარული. იმ სოლიდარულ ხალხში ვიდექით ისინი, ვინც ვერ ვიტანდით მიხეილ სააკაშვილს.

***– რატომ ვერ იტანდით?***

– იმიტომ, რომ ვიცოდით, როგორი დამნაშავე იყო ქვეყნისა და ერის წინაშე. ყველაფერი ძალიან კარგად ვიცოდით, მაგრამ სამშობლო და



სახელმწიფო არის უმთავრესი. როდესაც საშიშროების წინაშე დგება მთავარი საგანძური (შენი ქვეყანა და შენი ხალხი), რაც გაგაჩნია, რა თქმა უნდა, ერთიანდები. გავერთიანდით და გამოვედით ქუჩაში, მაგრამ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# სოსო ცინცაძე: „საგანგებო ზომების 80-90% ისედაც ტარდება“

## „დღეს ხელისუფლებაც სწორად იქცევა და ოპოზიციაც“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, ხელისუფლება ჯერ უარს ამბობს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაზე. თქვენი პოზიცია როგორია ამ საკითხზე? და თუ გამოცხადდება, რა იცვლება ამ დროს პოლიტიკურად?***

– პრაქტიკულად ჩვენ ვიმყოფებით საგანგებო მდგომარეობაში. მართალია, ოფიციალურად პრემიერსა და პრეზიდენტს ჯერ არ მიუმართავს პარლამენტისთვის საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მოთხოვნით, მაგრამ ის რეალობა, რომელიც დღეს ზოგადად ქვეყანაშია, თბილისის ქუჩებშია, უკვე არის საგანგებო მდგომარეობის პირველი ეტაპი.

საგანგებო მდგომარეობა პოლიტიკური თვალსაზრისით, ისევე, როგორც სამართლებრივად, ბევრ რამეს ცვლის. პოლიტიკური თვალსაზრისით ამ დროს ოპოზიციის როლი სულ სხვა ხდება ქვეყანაში. საგანგებო რეჟიმის დროს ხელი-



სუფლებას ბევრად უფრო მარტივად ეხსნება ხელფეხი და იზღუდება მოქალაქეების უფლებები.

თუ საგანგებო რეჟიმი ამოქმედდება, მაშინ საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც არის ოპოზიციისა და ხელისუფლების შეთანხმების მონაპოვარი, აუცილებლად შეჩერდება. ეს შემდეგ რა რეალობას მოიტანს ქვეყანაში, ალბათ არ უნდა იყოს რთული მისახვედრი.

დღეს კორონავირუსზე უფრო დიდი მტერი, არ მომერიდება ამის თქმა, თავად ჩვენი მოქალაქეები აღმოჩნდნენ. ამას ვამბობ მთელი გულისტკივილით. არ მეგონა, რომ მიუხედავად ამდენი ინფორმაციისა, მიუხედავად ტექნოლოგიების ასეთი მაღალი ფლობისა, ადამიანები მაინც აღმოჩნდნენ სოციალურად უპასუხისმგებლოები. ადამიანებს არ აღმოაჩნდათ არანაირი უნარი, რომ გაუფრთხილდნენ ერთმანეთს. ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ თვითიზოლაციის დამრღვევთა მიმართ დამატებითი ადმინისტრაციული ღონისძიებები დასჭირდებოდა მთავრობას!

***– პარლამენტი საკმაოდ მკაცრი რეგულაციების შემოსაღებად ემზადება, პატიმრობაც არ არის გამორიცხული.***

– დიახ, საჭიროა. როგორც ჩანს, ხელისუფლებას მეტი გამბედაობა სჭირდება ამ დროს. ასეთი უპასუხისმგებლობა შეიძლება ბევრად უფრო ძვირი დაუჯდეს ჩვენს საზოგადოებას, ზოგადად ქვეყანას.

***– ხელისუფლების აქამდე გადადგმულ ნაბიჯებს როგორ აფასებთ?***

– ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ხელისუფლება ამჯერად უნიათობას ავლენს. პირიქით. ჯერ ხელისუფლება გადაწყვეტილებებს რაციონალურად, გეგმაზომიერად იღებს. ახლა საგანგებო მდგომარეობა რომ შემოიღონ, არ მგონია, ამან რადიკალურად შეცვალოს ვითარება. 80-90% საგანგებო ზომებისა უკვე ისედაც ტარდება.

***– როგორია ოპოზიციის როლი ამ დროს და როგორ იქცევა ის?***

– დღეს უფრო მეტი ობიექტურობაა ოპოზიციის მხრიდან, ვიდრე პოპულიზმი და უპასუხისმგებლობა. ეს აშკარად ჩანს. ახლა ყველაზე კონსტრუქციული საქციელი პოლიტიკური ოპოზიციის მხრიდან იქნებოდა ის, რომ დახმარება აღმოუჩინოს ხელისუფლებას იქ, სადაც ყველაზე მეტად არის ამის საჭიროება.

***– რა ფორმით?***

– ძალიან დელიკატურად, საერთო პრობლემიდან გამომდინარე, ამის გაცნობიერებით უნდა მიუთითონ, სად არის სუსტი რგოლი, სად სჭირდება შეშველება ზოგადად ქვეყანას.

მითითებით და, თუ შესაძლებლობა გააჩნია, ოპოზიციას დახმარების შეთავაზებაც შეუძლია სხვადასხვა დონეზე. საკრიტიკო ყოველთვის მოიძებნება, მაგრამ როდის აკეთებ, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

# „დაზარალებულ მოქალაქეებს კრედიტების გადავადებაში პროცენტებს გადაახდევინებენ“

## ლევან ჩაჩუა: „ხელისუფლებამ დროებით უმუშევრად დარჩენილები სამი თვის კომუნალური გადასახადებისაგან უნდა გაათავისუფლოს“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში შექმნილ რთულ ვითარებაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.**

**ლევან ჩაჩუა:**

– საქართველოს ხელისუფლებას ჩემგან კრიტიკა არ აკლია, თუმცა, ჩასაფრებული პოზიცია არ მიკავია. კორონავირუსის და მის წინააღმდეგ მიღებული ზომების გამო ხელისუფლებასთან სასაყვედურო თითქმის არაფერი მაქვს. ჩვენი მედიკოსები კი შექებას იმსახურებენ. ხდება მაქსიმალური მობილიზება. როგორც შეუძლიათ, ებრძვიან ვირუსის შემოტევას.

***– მოსახლეობაში, პანიკას, ვირუსის გარდა, მომატებული ფასები, ასევე ბევრი ადამიანის დროებით უმუშევრობა იწვევს.***

– დიახ. არაერთი ობიექტის, საწარმოს მეპატრონეებმა თანამშრომლები დროებით დაითხოვეს. თვითონ ბიზნესმენებს კრედიტები აქვთ აღებული. სახელმწიფო მათ უნდა დაეხმაროს.

***– კრედიტების დაფარვა უკვე გადაუვადდათ.***

– გადაუვადდათ, მაგრამ რის ფასად?! დაზარალებულ მოქალაქეებს კრედიტების გადავადებაში პროცენტებს გადაახდევინებენ. ბანკირები ამაზე ლაპარაკობენ. გამოდის, რომ ამ



**„თუ საჭირო გახდა, სკოლებში აკადემიური წელი უნდა გამოცხადდეს“**

გადავადებით ხელს ისევ ბანკები მოითბობენ, მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეები კი დამატებით თანხებს გადაიხდიან.

ხელისუფლება უნდა შევიდეს იმ მოქალაქეების მდგომარეობაში, რომლებიც ამ სიტუაციაში უხელფასოდ დარჩნენ. ეს უფრო კერძო სექტორს ეხება. დროებით უმუშევრად დარჩენილები ხელისუფლებამ სამი თვის კომუნალური გადასახადებისაგან უნდა გაათავისუფლოს.

არც სხვები არიან კარგ დღეში. დიდი ფასები და ლარის გაუფასურება ყველას დააწვა. ამიტომ სხვებს სამი თვის განმავლობაში კომუნალური გადასახადები უნდა გაუნახევრდეთ. ეს იქნება სოციალური სამართლიანობის გამოხატულება და „ქართული ოცნების“ შეუსრულებელი დაპირებების ნაწილობრივ შესრულება.

***– რომელი დაპირებების?***

– „ქართული ოცნება“ 2012 წელს ხალხს ეუბნებოდა, რომ ქვეყანაში მაღალი კომუნალური გადასახადებია და მათი ქურდული წილი ნაცმოძრაობაში მიდის. აპირებდნენ ამის გამოსწორებას. ამის მაგივრად, 2012 წლიდან მოყოლებული, გადასახადები გაიზარდა. ამ სიტუაციაში 3 თვით მაინც მისცენ ხალხს შეღავათები! კრედიტების გადავადებაზე კი ახალი პროცენტები არ უნდა დაწესდეს.

თქვენი სახალხო გაზეთით კიდევ კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა – საქართველოში გამაოგნებელი და ამაზრზენი მოვლენა ხდება. ქრისტიანული მარხვების, ასევე მუსლიმანური მარხვების დროს ამ პერიოდში არსად არ ხდება სამარხვო პროდუქციაზე ფასების მომატება. ამას მარტო საქართველოში ვაწყდებით. ასეთი გაუმაძღრობა არ მესმის. რა მოგება უნდა მიიღოს ასეთმა ადამიანმა, რომელიც საკუთარ თანამოძმეებს ძარცვავს!

***– აღმოჩნდა, რომ ჩვენი განათლების სისტემა არ არის მზად დისტანციური სწავლებისათვის.***

– ამის მცდელობა არის. ჩემს შვილს ჩაუტარდა ონლაინგაკვეთილი, თუმცა, სმენადობა ძალიან ცუდი იყო. დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებულმა ერთმა კურიოზმა ქვეყანა მოიარა, როცა მეორეკლასელებმა ქსელიდან მასწავლებელი განდევნეს. რომელ განათლებაზეა ლაპარაკი! ჩვენი განათლების სისტემა უმძიმეს დღეშია და ჯანდაცვის სისტემასთან ახლოსაც ვერ მოვა.

ამ ვითომ რეფორმებმა განათლების დონე უფრო დაბლა დასწიეს. მასწავლებელს უფლება არა აქვს, შენიშვნა მისცეს მოსწავლეს. მოსწავლეები პედაგოგებს აბულინგებენ. გაცდენილი საათები შეიძლება მოგვიანებით, თუნდაც, ზაფხულში ანაზღაურდეს. თუ არადა, სკოლებსა და უმაღლესებში გამოცხადდეს აკადემიური წელი.

# გიგლა ბარამიძე: „ეროვნულმა ბანკმა ლარის კურსი უნდა აკონტროლოს“

## „ბაზრობები და კაზინოები დასახურია“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში შექმნილ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციასა და კორონავირუსით გამოწვეულ სხვა პრობლემებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ გენმდივან გიგლა ბარამიძეს.**

***– ოპონენტების ნაწილი ბიძინა ივანიშვილს მოუწოდებს, შექმნილ მძიმე სიტუაციაში ხალხს მიმართოს. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც ამ საკითხზე ყურადღებას არ ვამახვილებთ. ზოგადად, ბევრი პრობლემა გვაწუხებს. შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილმა, როგორც მმართველი პარტიის თავმჯდომარემ და არა – რიგითმა მოქალაქემ და მილიარდერმა, მიმართოს ხალხს. თუმცა, ეს სავალდებულოდ არ მიგვაჩნია. ეს მისი გადასაწყვეტია. ბიძინა ივანიშვილს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ყველაფერში ერევა. თუ ყველაფერში არ უნდა ჩაერიოს, მაშინ ეს მოწოდება რისთვისაა აუცილებელი?!

***– პრემიერმა გიორგი გახარიამ შიდა გავრცელების ეტაპი დააანონსა. ეს რას ცვლის?***

– კორონავირუსის შიდა გავრცელება რომ საქართველოშიც იქნებოდა, ამაზე რამდენი ხანია, ვსაუბრობთ! ამაზე „ერთიანი საქართველო“ მაშინ ვლაპარაკობდით, როცა ვირუსი საქართველოში დადასტურებული არ იყო, ჩვენ კი კმაყოფილებით გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენთან ყველაფერი რიგზეა. ჩვენ გლობალური სამყაროს ნაწილი, სატრანზიტო ქვეყანა ვართ და ამას როგორ ავცდებოდით?! ამიტომ ერთი თვის წინ ვვარაუდობდით იმას, რაც ახლა ხდება. ვამბობდით, რომ ხელისუფლება უნდა მომზადებულიყო.

ხელისუფლება უმოქმედოდ არაა, ბევრ რამეს აკეთებს. ჩვენი ექიმების პროფესიონალიზმიც სახეზეა. ერთი თვის წინ არხეინად გვარწმუნებდნენ, რომ ყველაფერი კარგადაა. ასეთი თვითკმაყოფილება სწორი არ იყო.

***– ზომების გამკაცრებას ემხრობით?***

– უნდა გაძლიერდეს პრევენციის ღონისძიებები. ასევე, მაქსიმალური ყურადღება უნდა გადავიდეს თვითიზოლაციაში მყოფებზე, უნდა გაუმჯობესდეს პირობები კარანტინში.

***– როგორც ვიცი, ხელისუფლებას ამ დღეებში დახმარებაც შესთავაზეთ.***

– სამი დღის წინ გამოვაცხადეთ, რომ დროებით, შექმნილ სიტუაციაში, ოპონირების რეჟიმიდან გადავდივართ თანამშრომლობის რეჟიმზე.

***– და ხელისუფლებას ამ ეტაპზე მწვავედ არ გააკრიტიკებთ?***

– შექმნილ მდგომარეობაში ასე მოვიქცევით. ჩვენი ახალგაზრდული ორგანიზაციები მზად არიან, ჩაებან ყველანაირ მუშაობაში. ახალგაზრდები მივლენ იქ, სადაც, ხელისუფლების აზრით, საჭირო იქნება.

მოსაგვარებელია ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – ხელისუფლებამ ფასები უნდა აკონტროლოს. ფქვილზე, ბურღულეულზე, პირველადი საჭიროების პროდუქტებზე ფასები ავარდა. ეს ხალხს მძიმედ აწვება. მიკროავტობუსების აკრძალვით სარგებლობენ კერძო ტაქსები და ტარიფს ზრდიან. ესეც მისახედია.



***– რომ თქვით, ხელისუფლება უნდა მომზადებულიყოო, რა იგულისხმეთ?***

– ხელისუფლებას უნდა მოეწყო საკარანტინო სივრცეები და საზოგადოება მოემზადებინა. ხალხისთვის უნდა აეხსნათ, რომ ვირუსი აქაც გავრცელდებოდა.

***– თქვენ სომხეთთან გაქვთ კომუნიკაცია. იქ ამ დროისთვის 73 ინფიცირებულია გამოვლენილი და გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა. რა ინფორმაცია გაქვთ?***

– იქაც დაახლოებით ისეთივე ვითარებაა, როგორც ჩვენთან. მოსახლეობას მჭიდრო კავშირი აქვს რუსეთთან. სხვათა შორის, რუსეთში საქართველოს უამრავი მოქალაქეცაა დასაქმებული. რუსეთის გარდა, სომხეთში ვირუსმა შეაღწია ირანიდან, ასევე ბევრი სხვა სახელმწიფოდან, სადაც სომხური დიასპორა ცხოვრობს. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საკითხს ყველა ქვეყნის ხელისუფლება თვითონ იღებს.

***– ჩვენთან კიდევ რა არის გასაკეთებელი?***

– დასახურია ბაზრობები და კაზინოები. გუშინ ფეხით გავიარე საბურთალოზე და ვაკეში და ჩემი თვალით ვნახე, რომ ყველა კაზინო მუშაობდა. ერთიც კი არ იყო დახურული.

ლარის კურსი კატასტროფულად დაეცა. ჩვენი აზრით, ეროვნულმა ბანკმა ლარის კურსიც უნდა აკონტროლოს.

# ლიბერთის მომხმარებლები კომუნალურ გადახდებს დისტანციური არხებით უფასოდ შეასრულებენ




მომხმარებლებზე ზრუნვის მიზნით და ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, დღეიდან, 3 თვის განმავლობაში ლიბერთის მომხმარებლები ინტერნეტ ბანკით, მობაილ ბანკითა და სწრაფი გადახდის აპარატებით სარგებლობისას კომუნალურ (ელექტროენერგია, წყალი, გაზი და დასუფთავება) გადასახადებს საკომისიოს გარეშე გადაიხდიან.

– ლიბერთი ბანკის სერვისცენტრებში მომხმარებლების ნაკადის შესამცირებლად და მათთვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად, გადავწყვიტეთ, დისტანციურ არხებში კომუნალური გადასახადების გადახდა უფასოდ განხორციელდეს.

დღეს, როდესაც ერთმანეთზე ზრუნვა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ლიბერთი განაგრძობს მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების შეთავაზებას. ამ გადაწყვეტილებით, ჩვენს მომხმარებლებს ვაძლევთ კიდევ უფრო მეტ სტიმულს, რომ სახლიდან გაუსვლელად, სწრაფად და მარტივად ისარგებლონ სრული საბანკო სერვისით, – განაცხადა ლიბერთის გენერალურმა დირექტორმა, ვასილ ხოდელმა.

# ხათუნა ხოფერია: „ვინც პოლიტიკაშია, ყველამ უნდა იცოდეს, რომ სიტყვებს გაუფრთხილდნენ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მიშას ეს არაფერში გამოუყენებია. მისთვის მთავარი იყო თავისნაირ ხუთ პრეზიდენტთან ერთად სცენაზე დგომა, რათა იქ ვიღაცებს დაენახათ და გაეაზრებინათ, რომ თვითონ დაცულია და მას ჰყავს მეგობრები, რომლებმაც ჩამოაკითხეს.

***– როგორ მოახერხეს მან და მისმა თანამებრძოლებმა გამოღწევა?***

– მერე რუსები შეჩერდნენ, თავისი ჯარი და ტექნიკა გაიყვანეს. შემდეგ ხდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება.

***– თქვენ რაზეც საუბრობთ, ეს არის უდიდესი სახელმწიფო და სამხედრო დანაშაული. თუმცა, ჯერ გამოძიებული არ არის.***

– აბსოლუტურად მოშლილი იყო ყველაფერი. სენაკის ბაზა დაცული არ იყო, საიდანაც თანამედროვე სამხედრო იარაღები გაიტანეს. სრულიად დაუცველი იყო ფოთი. ფოთი დააბომბვინა. ათასი უბედურება მოხდა, რომელი ერთი უნდა გაიხსენო. საერთოდ, სააკაშვილი რაზე ლაპარაკობს? მიშას ხელისუფლების, მართვის წესებისა და პოლიტიკის მომხრე საქართველოში ძალიან ცოტა ადამიანი იყო. ეს 2012 წელს დამტკიცდა.

სააკაშვილის მართვის პერიოდში საშინელი რეჟიმი იყო საქართველოში ადამიანის უფლებებისა და ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის დარღვევისა, რომელსაც თან ათასი უბედურება ახლდა. მიშას სოლიდარული არავინ იყო. ჩვენ ხალხის სოლიდარული ვიყავით.

***– ამ სიტუაციაში, მიუხედავად ყველაფრისა, ისინი, ვინც ნათელაშვილის ოფისში იკრიბებიან (მათ შორის, მაგალითად, ნინო ბურჯანაძე) და აცხადებენ, რომ არ არის საჭირო 8 წლის წინ ჩადენილი დანაშაულობების გამო დღევანდელი ოპოზიციის ლიდერებად წარმოდგენილი პირების სისხლის სამართლებრივი დევნა და ციხეში ჩასმა, ამ პოზიციას როგორ აფასებთ?***

– თავის ქმედებაზე ყველა თვითონ აგებს პასუხს. განსაკუთრებით, ის ადამიანები, ვინც აქტიურ პოლიტიკაში არიან, ვისაც თანამდებობები ეკავა და ვისაც, ასე თუ ისე, განსხვავებული პასუხისმგებლობა გააჩნია. არსებობს ფრაზა, რომ დრო ყველაფერს ჩამოწერს.

ალბათ, ადამიანებს ჰგონიათ, ოღონდ ეს არჩევნები ჩათავდეს, გარკვეული შედეგი დაიდოს, ვიღაცები პარლამენტში მოხვდნენ და შემდეგ, დროთა განმავლობაში, თავის გამართლებას შეძლებენ, უკვე სხვა ქმედებებით შეეცდებიან, ერსა და ბერს დაუმტკიცონ, რომ მათ არაფერი დაუშავებიათ.

მოკლედ, ყველაფერში დამნაშავეა არჩევნები. არა მგონია, არჩევნები რომ არ იყოს მოახლოებული და ამ ადამიანებს ხელისუფლებაში დაბრუნების საშინელი წყურვილი რომ არ ჰქონდეთ, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. არა მგონია, ისე მოქცეულიყვნენ და ის განცხადებები გაეკეთებინათ, რასაც ახლა აკეთებენ. დრო ყველაფერს არ აშუშებს. დროში არაფერი იკარგება. სიტყვა იარაღზე უფრო უარესია. სიტყვა, რომელიც ადამიანების გულებსა და გონებას მოხვდება, ის ჭრილობა არასოდეს მოშუშდება.

ვინც პოლიტიკაშია, ყველამ უნდა იცოდეს, რომ სიტყვებს გაუფრთხილდნენ. არ შეიძლება სიტუაციის გამოყენების გამო ისეთი რამ თქვა, რომელსაც შემდეგ ვერაფერი წაშლის ადამიანის მეხსიერებიდან.

# 3 პირის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის მ.ჯ.-ს 16 წელი მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ, სამი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის, აგრეთვე საბრძოლო მასალისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებისთვის ბრალდებული მ.ჯ. დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახით, 16 წლით პატიმრობის აღკვეთა მიესაჯა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სამი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის, ისეთი საშუალებით, რაც საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, აგრეთვე საბრძოლო მასალისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებისთვის ბრალდებული მ.ჯ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ მ.ჯ.-მ 2019 წლის 10 ივლისს, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, ქ.თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩაზე მდებარე კორპუსის სადარბაზოში მყოფ – გ.ძ.-ს, გ.ბ.-ს და დ.დ.-ს მიმართულებით საბრძოლო ხელყუმბარა ისროლა, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ინახავდა. მ.ჯ.-ს ქმედების შედეგად სამივე პირმა სხეულის სხვადასხვა არეში მრავლობითი ჭრილობები მიიღეს.

ასევე დადგინდა, რომ მ.ჯ.-მ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ქარხნული წესით დამზადებული, 16 კალიბრის ე.წ „გადაჭრილი თოფი", რომელსაც 2019 წლის 10 ივლისს, ქ.თბილისში, წყნეთში, ე.წ. სამთავრობო აგარაკების მიმდებარე ტერიტორიაზე, მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა.

სამართალდამცველებმა მ.ჯ. 2019 წლის 10 ივლისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი სამი პირის მიმართ, ისეთი საშუალებით, რაც საფრთხეს უქმნის სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას), 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით (ორი ეპიზოდი) (საბრძოლო მასალისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მ.ჯ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 16 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ბ.ბ. შვილზე ძალადობდა და ცოლს ემუქრებოდა

## მას 1 წელი და 6 თვე მიესაჯა



გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არასრულწლოვან შვილზე განხორციელებულ ძალადობასა და მეუღლის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტზე ბრალდებული ბ.ბ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის დეკემბერში, ქ. გორში, ოჯახში ძალადობისთვის ნასამართლევმა ბ.ბ.-მ არასრულწლოვანი შვილის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა, რასაც მისი მეორე არასრულწლოვანი შვილი ესწრებოდა.

ასევე, 2020 წლის 13 იანვარს, ბ.ბ. სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მეუღლეს – ლ.ბ.-ს.

სამართალდამცველებმა ბ.ბ. 2020 წლის 14 იანვარს, ქალაქ გორში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის მეორე ნაწილის „ა", „ბ" და „ე" ქვეპუნქტებით (2 ეპიზოდი) (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ, არაერთგზის) და 111-151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ" ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

გორის რაიონულმა სასამართლომ ბ.ბ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# პოლიციამ ქურდობის ბრალდებით 1 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული ნ.ბ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა უკანონოდ შეაღწია ქალაქ გორში მდებარე ერთ-ერთ მაღაზიაში, საიდანაც ლეპტოპი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ნ.ბ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ მოპარული ლეპტოპი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილ ქურდობას გულისხმობს.

# სალვადორ დალის ნახატს მეორადების ბაზრობაზე მიაგნეს



ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ კიტი-ჰოკში მდებარე საკომისიო მაღაზიის თანამშრომელმა მაღაზიის მიერ მიღებული სხვადასხვა საქონელს შორის შალვადორ დალის ნახატი აღმოაჩინა.

მეორადების ბაზრობის მოხალისე ვენდი ჰოკინსი მხატვრულ ნამუშევრებს არჩევდა, რომელიც უნდა შეეფასებინა, სანამ მას მაღაზიის თაროებზე გასაყიდად გამოიტანდნენ. ქალმა ერთ-ერთი ნამუშევარი განსაკუთრებულად მიიჩნია და მან ის ექსპერტის შეფასების მისაღებად არტ-გალერეაში მიიტანა.

გალერეის მფლობელმა მადლენ სმიტმა გაარკვია, რომ ეს სალვადორ დალის აკვარელი „განსაწმენდელი" იყო, ავტორის ხელმოწერითვე. აკვარელზე ავტოგრაფი ფანქრითაა გაკეთებული. ნახატზე გამოსახულია ცისფერ სამოსში გამოწყობილი კაცი და წითელ სამოსში გამოწყობილი მამაკაცი.

1957 წელს დალი ათი წლის მანძილზე მუშაობდა დანტე ალეგიერის „ღვთაებრივი კომედიის" მოტივებზე შექმნილ 100 აკვარელზე. თავდაპირველად მისი მუშაობა იტალიის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ იყო უფლებამოსილი, მაგრამ მოგვიანებით მას შემდეგ გამოიწვიეს, როდესაც კრიტიკოსებმა გადაწყვიტეს, რომ ესპანელს არ შეეძლო კლასიკური იტალიური ნაწარმოების ილუსტრირება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# არჩილ ჩოფიკაშვილი: „აფგან მუხთარლის 1.000 მანათის ჯარიმა შეეფარდა"

## „გათავისუფლება მისთვისაც მოულოდნელი იყო"



– აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი საპატიმროდან 1.000-მანათიანი ჯარიმის სანაცვლოდ გათავისუფლდა.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს" „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" იურისტმა, აფგან მუხთარლის ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმა განუცხადა.

როგორც ჩოფიკაშვილი განმარტავს, აფგან მუხთარლის გათავისუფლებაში დიდი როლი ითამაშა როგორც საზოგადოებრივმა პროტესტმა, ასევე იმ ფაქტმაც, რომ მუხთარლის საქმეზე სტრასბურის სასამართლო გადაწყვეტილებას უახლოეს პერიოდში გამოაცხადებს.

– თითქმის 2 წელზე მეტი გავიდა თბილისიდან აფგან მუხთარლის გატაცების შემდეგ. ეს 2017 წლის 29 მაისს მოხდა. როგორც ცნობილია, მას აზერბაიჯანში 6-წლიანი პატიმრობა გამოგონილი ბრალდებით ჰქონდა მისჯილი. მუხთარლიმ 2 წელზე მეტი მოიხადა. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ დარჩენილი სასჯელი არასაპატიმრო სასჯელით – 1.000-მანათიანი სასჯელით შეეცვალა.

მას 1.000 მანათი ჯარიმა შეეფარდა და გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან. აფგან მუხთარლი გუშინვე მოსკოვის გავლით თავის ოჯახთან გერმანიაში ჩავიდა.

სწორედ ეს გადაწყვეტილება იყო მოსალოდნელი, ვინაიდან მუხთარლის პატიმრობა დიდ პროტესტს იწვევდა როგორც საერთაშორისო უფლებადაცვით ორგანიზაციებში, ისე საქართველოსა და აზერბაიჯანის უფლებადამცველებში, – განაცხადა არჩილ ჩოფიკაშვილმა.

მისი თქმით, სტრასბურში ის და ნიკოლოზ ლეგაშვილი წარმოადგენენ მუხთარლის ინტერესებს.

– უახლოეს პერიოდში გადაწყვეტილება იქნება მიღებული. ერთი მხრივ, ევროსასამართლოში დაჩქარებულმა საქმის წარმოებამ და მეორე მხრივ, დიდმა საზოგადოებრივმა პროტესტმა როგორც კავკასიაში, ასევე მსოფლიოში, განაპირობა, რომ საბოლოო ჯამში მუხთარლი ვადამდე გათავისუფლდა. სასჯელის ნახევარიც არ იყო გასული, რომ მას პატიმრობა ჯარიმით შეეცვალა.

ვფიქრობ, ამით აზერბაიჯანის ხელისუფლება ცდილობს, საკუთარი პასუხისმგებლობა შეიმსუბუქოს, ვინაიდან ევროსასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში მუხთარლი თავისუფლებაში იქნება, – დასძინა ადვოკატმა ჩოფიკაშვილმა.

ციხიდან გათავისუფლება აზერბაიჯანელი ჟურნალისტისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

– მისთვისაც მოულოდნელი იყო, მოულოდნელად გამოიყვანეს ციხიდან, ჩაუტარეს პროცესი და გაათავისუფლეს, – განაცხადა არჩილ ჩოფიკაშვილმა.

# უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე 7 პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების, ქონების მესაკუთრის მოტყუებით, დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, შვიდი პირი დააკავეს.

აჭარის რეგიონში მოქმედ რამდენიმე კომპანიას გააჩნდა აღურიცხავი საწვავი, რომლის წარმოშობის წყაროს დაფარვისა და მასზე საკუთრების უფლების შენიღბვის მიზნით, ბრალდებულებმა, მათ მმართველობაში არსებული კომპანიების სახელით, გააყალბეს ნავთობპროდუქტების რეალიზაციასთან დაკავშირებული სპეციალური საგადასახადო ანგარიშფაქტურები, რომლითაც ერთმანეთს შორის თითქოსდა განახორციელეს საწვავის მიწოდება.

აღნიშნული ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურების დამზადების გზით, კანონიერი სახე მიეცა და სამოქალაქო ბრუნვაში მოექცა აღურიცხავი/დაუსაბუთებელი ქონება – ნავთობპროდუქტის სახით, რითაც, ხსენებულმა კომპანიებმა და დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელმა პირებმა მიიღეს 1.872.349 ლარის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავალი.

ამავე დროს, აღნიშნული ოპერაციებით, დამატებითი ღირებულების გადასახადში შეიქმნეს უსაფუძვლო ყალბი აქტივი, 285.000 ლარის ოდენობით.

დაკავების შემდეგ, ერთ-ერთმა ბრალდებულმა ბიუჯეტში შეიტანა მიყენებული ზიანის ნაწილი – 155.000 ლარის ოდენობით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილით, 185-ე და 194-ე მუხლების მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით.

# პოლიციამ თვითიზოლაციის წესების დარღვევისთვის იძულებით კარანტინში კიდევ 28 ადამიანი გადაიყვანა



შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და რეკომენდაციების აღსრულების მიზნით, 24-საათიან, საგანგებო რეჟიმში მუშაობას განაგრძობს და დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად, ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს მასშტაბით, თვითიზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მონიტორინგს აქტიურად ახორციელებს.

17 მარტს, ერთობლივი მონიტორინგის შედეგად, თვითიზოლაციის წესების დარღვევის კიდევ 28 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

თბილისში, იმერეთის, სამეგრელოს, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და აჭარის რეგიონებში მოქალაქეები, რომლებმაც თვითიზოლაციის წესები დაარღვიეს, საკარანტინო ზონაში იძულებით არიან გადაყვანილი.

თვითიზოლაციის წესების დარღვევის გამო, საკარანტინო ზონებში, იძულების წესით, ჯამში, 99 ადამიანია გადაყვანილი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და პატივი სცეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის გადაწყვეტილებებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ აღნიშნულ რეგულაციებს.

# შსს 20 მარტიდან სერვისების მიწოდებას 1 თვით აუქმებს



საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების და რეკომენდაციების შესაბამისად ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო 20 მარტიდან გარკვეული სერვისების მიწოდებას დროებით აუქმებს.

ახალი რეგულაციების თანახმად, საქართველოს მასშტაბით მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში უქმდება სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები თეორიული და პრაქტიკული გამოცდები.

– მოქალაქეებს, რომლებსაც დაჯავშნილი ჰქონდათ თეორიული გამოცდის თარიღი, გამოცდაზე გასვლა შეეძლებათ სერვისების სრულად აღდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში იმავე ფილიალში, რიგის დაჯავშნის გარეშე.

– იმ პირებს, ვისაც ჩაბარებული აქვთ თეორიული გამოცდა, პრაქტიკულ გამოცდაზე გასვლა შეეძლებათ სერვისების სრულად აღდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

ასევე უქმდება ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები.

რაც შეეხება მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემულ ცნობებს, ნასამართლობის შესახებ ცნობის მისაღებად განაცხადი მიიღება მხოლოდ ელექტრონული წესით, მომსახურების სააგენტოს ვებგვერდის საშუალებით (სა.გოვ.გე), დამზადებული დოკუმენტის გაცემა მოხდება განაცხადის შევსებისას მითითებულ ფილიალში, ხოლო სხვა ცნობების მისაღებად, განაცხადის შევსება შესაძლებელია მომსახურების სააგენტოს ფილიალებში.

20 მარტიდან მომსახურების სააგენტოს შეგიძლიათ მიმართოთ სატრანსპორტო საშუალების განბაჟების, რეექსპორტის, ექსპორტის და რეგისტრაციის პროცედურების განსახორციელებლად.

ასევე დროებით ვერ მოხდება ახალქალაქისა და ამბროლაურის სერვისცენტრების მიერ მომსახურების გაწევა.

ამასთან, კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, გადაუდებელი აუცილებლობის გარდა, ნუ მიმართავთ მომსახურების სააგენტოს სერვისცენტრებს, ხოლო მიმართვის შემთხვევაში თავი შეიკავეთ გარეშე პირების თანხლებისგან.

აქვე გაცნობებთ, რომ დაგეგმილი სადეზინფექციო სამუშაოების გამო, მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურული ერთეული 19, 24, 26 და 28 მარტს, წყვეტს სამუშაო რეჟიმს და მოქალაქეებს ვერ მოემსახურება.

# ევროკავშირის საზღვრები 30 დღით ჩაიკეტა




ევროპელმა ლიდერებმა გადაწყვეტილება მიიღეს, 30 დღის განმავლობაში აკრძალონ ევროკავშირში უცხოელების შესვლა.

ეს გადაწყვეტილება პირველად გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა გამოაცხადა ევროკავშირის სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან გამართული ვიდეო კონფერენციის შემდეგ.

მოგვიანებით, ევროპის საბჭოს პრეზიდენტმა ჩარლზ მიშელმა განაცხადა, რომ ეს არის ზომა, რათა „ვირუსის გავრცელება გლობალურად შეიზღუდოს“.

– ყველა წევრმა ქვეყანამ მიიღო ძალიან ძლიერი ზომები, რათა შემცირდეს მოძრაობა, შემცირდეს მოგზაურობა, – დასძინა მან.

# უკრაინას ახალი გენერალური პროკურორი ჰყავს

## რადა კარანტინში გაუშვეს



უკრაინას ახალი გენერალური პროკურორი ჰყავს. პრეზიდენტმა ზელენსკიმ ამ პოსტზე 40 წლის ირინა ვენედიქტოვა დანიშნა.

უკრაინის ისტორიაში ის პირველი ქალია, რომელიც გენერალური პროკურორი გახდა

– ირინა პატიოსანი, მოუსყიდავი პროფესიონალია, – თქვა ზელენსკიმ.

ოპოზიცია ამას არ დაეთანხმა. ორგანიზაციის „ევროპული სოლიდარობის“ წევრმა, ცნობილმა ისტორიკოსმა ვიატროვიჩმა განაცხადა, რომ ვენედიქტოვა მაიდანის მონაწილეთა ამნისტიის წინააღმდეგი იყო, რომ სწორედ ვენედიქტოვას სახელთანაა დაკავშირებული პატრიოტი დეპუტატის და პოპულარული მომღერლის სოფია ფედინას დევნა და ა.შ.

– ჩვენ ამ კანდიდატურას მხარს არ დავუჭერთ, – თქვა ვიატროვიჩმა.

ასეთი პოზიცია გაიზიარა პარტია „გოლოსმაც“.

მიუხედავად ამისა, მმართველმა პარტიამ „ხალხის მსახურმა“ მიაღწია იმას, რომ ვენედიქტოვა გენერალური პროკურორის პოსტზე დაამტკიცეს.

ამის შემდეგ პარლამენტი კარანტინში გაუშვეს.

უმაღლესი რადა მუშაობას 3 აპრილიდან განაახლებს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# თათია კობალაძე: „ფიქრობთ ჩვენზე საქართველოს მთავრობავ?!“



ასეთი კითხვით მომღერალი თათია კობალაძე საქართველოს ხელისუფლებას მიმართავს.

უკრაინული და ქართული „იქს ფაქტორებისა“ და თურქული „ვოისის“ მონაწილე ქართველების უმრავლესობა უსამსახუროდ დარჩა:

– მესმის ყველაფერი! ისიც, რომ უნდა დავიცვათ თავი და არ გავიდეთ სამსახურში, რომ ვინც დაგვითხოვეს, დროებით, ხმა არ ამოვიღოთ!

მაგრამ უსამსახუროდ, უხელფასოდ და უსაკვებოდ, როგორ ვიქნებით? საერთოდ თუ ფიქრობთ ჩვენზე, საქართველოს მთავრობა?! იჯექით სახლშიო და ვინ გვირჩენს შვილებს?!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ბაიდენმა ისევ გაიმარჯვა



აშშ-ში დასასრულს უახლოვდება პრაიმერიზი, რომელმაც დემოკრატიულ პარტიაში უნდა გამოავლინოს ის, ვინც ტრამპს საპრეზიდენტო არჩევნებში დაუპირისპირდება.

ვაშინგტონში ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა გაიმარჯვა. მან პრაიმერიზის საბოლოო მოსაგებად მორიგი სერიოზული ნაბიჯი გადადგა.

ოჰაიოსა და ლუიზიანის შტატებში პრაიმერი არ ჩატარებულა. მიზეზი კორონავირუსის ეპიდემიაა. იქ პრაიმერიზი მოგვიანებით ჩატარდება.

# „საფრანგეთში კორონავირუსით ინფიცირების კლება 8-12 დღეში დაიწყება“




საფრანგეთში იმედოვნებენ, რომ კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევები 8-12 დღეში კლებისკენ წავა.

ამის შესახებ ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა ოლივიე ვერანმა განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნულის საფუძველს ის ზომები იძლევა, რომლებიც ქვეყანამ ვირუსთან ბრძოლის ფარგლებში მიიღო.

– საჭიროების შემთხვევაში ჩავერევით, რომ დავრწმუნდეთ, ხალხი გამოცხადებულ ზომებს ემორჩილება. როცა ფანჯრებიდან ვიყურები, ვხედავ, რომ ხალხი თანდათან ასრულებს რეკომენდაციებს, – აღნიშნა მინისტრმა.

# კიბოთი დაავადებულმა ქალმა ქმარი მიატოვა და ასობით მამაკაცთან დაწვა



აშშ-ის მცხოვრები კიბოს თერმონალური სტადიით დაავადდა, რის შემდეგაც ქმარი მიატოვა და გარდაცვალებამდე ასეულობით მამაკაცთან დაკავდა სექსით.

ქალს, სახელად მოლის, რომლის გვარიც არ სახელდება, მკერდის კიბოს მეოთხე სტადია 41 წლის ასაკში დაუდგინეს. ჯერ კიდევ სასიკვდილო დიაგნოზამდე მას ქმართან ურთიერთობაში პრობლემები ჰქონდა და ის სქესობრივი ცხოვრების გამრავალფეროვნების საშუალებებს ეძებდა.

დაავადებულს რამდენიმე სახის მკურნალობა დაუნიშნეს, როგორიცაა მასტექტომია, რენტგენოთერაპია, ქიმიოთერაპია და აღდგენითი ქირურგია. შემდეგ მას მკურნალობის მეორე კურსი დაეწყო, რომელში ჰორმონალური თერაპიაც შედიოდა. ექიმებმა მოლის უთხრეს, რომ ჰორმონალური თერაპია მის ლიბიდოს გაანადგურებდა, მაგრამ ამის ნაცვლად მკურნალობამ მისი სქესობრივ აღგზნებადობა აამაღლა. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ქალმა, ქმარს გაშორებოდა.

მან სხვა მამაკაცებთან შეხვედრები დაიწყო და რაღაც მომენტში ურთიერთობა 185 თაყვანისმცემელთან ჰქონდა.

– სექსი მაიძულებს, თავი ცოცხალ ადამიანად ვიგრძნო. ეს ავადმყოფობის დავიწყების საუკეთესო საშუალებაა, – აღიარებდა მოლი.

ქალი 2019 წლის მარტში გარდაიცვალა. ის 45 წლის იყო. მისი ისტორია კი მისმა დაქალმა გააზიარა.

# აშშ-ში ელვის პრესლის უცნობი მამული აღმოაჩინეს



აშშ-ში როკ-ნ-როლის ლეგენდის ელვის პრესლის მამული აღმოაჩინეს, რომელიც მან ფარულად შეიძინა მისისიპის შტატის დასახლება კოლდუოტერში. სახლის დიდი ნაკვეთით შეძენა 485 ათას დოლარადაა შესაძლებელი.

33 აკრის (13 ჰექტარი) ფართობის ნაკვეთზე განთავსებულია სახლი, ფარდული და სახელოსნო. სახლში ორი ოთახი და ორი სააბაზანოა. ასევე შემონახულია მუსიკოსის ავტომობილი: ლურჯ-თეთრი 1955 წლის გამოშვების ბიუიკი, რომელსაც ნატყვიარები აქვს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ელვის პრესლი სროლით იყო გატაცებული და საკუთარ მანქანას სამიზნედ იყენებდა.

უძრავი ქონების აგენტმა ბრენდი ტოდმა უამრავი საბუთები შეისწავლა იმაში დასარწმუნებლად, რომ მამული მართლაც ელვის პრესლის საკუთრებას წარმოადგენდა. ტედის თქმით, მას დიდი ხნის მანძილზე არ ტოვებდა იმის განცდა, რომ მიწის ეს ნაკვეთი რაღაცით ელვის პრესლის ოჯახთან იყო დაკავშირებული. საბოლოოდ ის როკ მუსიკის ისტორიკოსს სტივენ შატსს დაუკავშირდა, რომელმაც დაუდასტურა, რომ ნაკვეთი კოლდუოტერში მართლაც ცნობილი მომღერლის ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა.

ტოდის თქმით, მუსიკოსმა ეს მამული 1965 წელს მამის ვერნონ პრესლის სახელზე შეიძინა. ამ განმარტოებულ მამულზე მისი ყურადღება იმის გამო შეჩერდა, რომ ელვის სურდა აქ გაქცეოდა და დამალვოდა ფანების გადამეტებულ ყურადღებას. გარკვეული დროის შემდეგ, მან მამული საკუთარ დედას გადასცა, რომელიც შემდეგ მისი ბიძის ხელში გადავიდა. აღსანიშნავია, რომ ელვის პრესლი არასოდეს ფიგურირებდა აღნიშნული მამულის მფლობელების სიაში. ამჟამად ის ისეთი ადამიანების მფლობელობაშია, რომელთაც პრესლების ოჯახთან არაფერი აკავშირებთ.

# პრინც ჰარისა და პრინც უილიამის ურთიერთობა უიმედოდ გაფუჭდა



დიდი ბრიტანეთის პრინც ჰარის და მის ძმა პრინც უილიამს შორის დამოკიდებულება სამუდამოდ შეიცვალა. ასე თვლის ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემასთან საუბარში სამეფო ოჯახთან დაახლოებული წყარო.

მისი თქმით, ადრე ძმებს ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ბოლო წლებში ისინი ერთმანეთს ძალიან დაშორდნენ. ინფორმირებული წყარო ამტკიცებს, რომ ჰარის უილიამი ენატრება, თუმცა მასთან შერიგებას არ ჩქარობს. როგორც ჩანს, მათი ურთიერთობა უიმედოდ გაფუჭდა.

– ახლა ძალიან ბევრი ჭუჭყია დაგროვილი საიმისოდ, რომ მათ შორის აზრიანი ურთიერთობა შესაძლებელი გახდეს, – განაცხადა ინფორმირებულმა წყარომ.

მისი მტკიცებით, პრინცი ჰარის მთელი ყურადღება მომავლისკენაა მიმართული, რომელსაც ის სამეფო ოჯახის გარეშე გატარებას და მხოლოდ საკუთარი მეუღლის, სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლის და მათი შვილის გვერდით აპირებს. მისი ინფორმაციით ისინი არა მხოლოდ კანადაში, არამედ კალიფორნიაში მარკლის სახლში იცხოვრებენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ექვსი დოლარის ხურდამ ქალს მსხვილი მოგება მოუტანა




ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ სენტ-კლერ-შორსის მკვიდრი ქალბატონი ამტკიცებს, რომ ლატარიის ბილეთების ყიდვის შემდეგ დარჩენილმა ექვსმა დოლარმა მას მსხვილი მოგება მოუტანა.

მერი ენი დევისის თქმით, ის ადგილობრივ მაღაზიაში შევიდა და რამდენიმე ლატარიის ბილეთი შეიძინა.

– დარჩენილი ხურდა ფულით გადავწყვიტე Lucky For Life Easy Picks-ს სამი ბილეთი მეყიდა, – განმარტა ქალმა, – რამდენიმე დღის შემდეგ ბილეთები შევამოწმე, თუმცა მოგების იმედი საერთოდ არ მქონია, მაგრამ როდესაც ლატარიის ვებ-გვერდზე შევედი, მივხვდი, რომ მოგება ჩემი იყო.

დევისმა მსხვილი ჯეკპოტი მოხსნა, რომელიც მას სიცოცხლის ბოლომდე ყოველწლიურად 25 ათასი დოლარის მიღების საშუალებას აძლევდა. თუმცა ქალმა ფულის ერთიანად მიღება ამჯობინა. გადასახადების გადახდის შემდეგ კი მან 390 ათასი დოლარი მიიღო. ამ ფულით ის ვალების გასტუმრებას, ხოლო დარჩენილი თანხის სამომავლოდ გადადებას გეგმავს.


# განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ: 593-60-60-44; 299-95-33 იკითხეთ ექიმი მერაბი.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# უეფა ევროტურნირების დასრულებას ივნისის ბოლოს გეგმავს

26 მარტს ჩანიშნული საქართველო-ბელარუსის მატჩი რომ გადაიდო, უკვე ვწერდით. ახალი თარიღი ზუსტად უცნობია – ვიცით მხოლოდ ის, რომ ივნისში უნდა გაიმართოს. 26 მარტის მატჩზე დასასწრები ბილეთების მქონე ადამიანებს, შეუძლიათ შეინარჩუნონ ბილეთები და კონკრეტული თარიღის დანიშვნის შემდეგ, არსებული ბილეთით დაესწრონ მატჩს, ხოლო უკან დაბრუნების სურვილის შემთხვევაში, თანხის ასანაზღაურებლად, შეგიძლიათ მიმართოთ იმ ორგანიზაციას, სადაც შეიძინეთ.

შეგახსენებთ, რომ ერთა ლიგის ფლეი ოფის მატჩის გადადების შესახებ გადაწყვეტილება უეფამ ვიდეოკონფერენციაზე მიიღო, რომელშიც უეფას წევრი 55-ვე ქვეყანა მონაწილეობდა.

სანამ უეფას ყველა საბოლოო გადაწყვეტილებაზე გეტყოდეთ, მანამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან დავით მუჯირს მოვუსმინოთ:

– ვიდეოკონფერენციის მთავარი განსახილველი თემა ევრო 2020 გახლდათ. ამ ეტაპზე ყველაფერი დამოკიდებულია თუ როგორ და როდის განახლდება ეროვნული ჩემპიონატები. მოგეხსენებათ, საქართველოსთან ერთად ბევრ სხვა ქვეყანაში შიდა ჩემპიონატი შეჩერებულია. ამ ყველაფრიდან გამომდინარე გაურკვეველია თუ რომელი გუნდები იასპარეზებენ მომავალ სეზონში ევროტურნირებზე. ყველაფრის გათვალისწინებით უეფამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელიც დასამტკიცებლად ალმასკომს გადაეცემა.



დიდი ალბათობით აღნიშნული პროექტი დამტკიცდება, რადგან არც ერთ ასოციაციას საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს. ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება მომავალი წლის 11 ივნისიდან 11 ივლისის ჩათვლით. ასევე შეიცვლება ჩემპიონთა ლიგისა და ევროპა ლიგის მატჩების დღეები. ცვლილება, რა თქმა უნდა, შეეხო ევროპის ჩემპიონატის ფლეი ოფის მატჩებს, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. დღევანდელი მოცემულობით მარტში ბელარუსის წინააღმდეგ გასამართი მატჩი ივნისში ჩატარდება.

ყველა ეს ცვლილება გათვლილია იმაზე, რომ მსოფლიოში არსებული მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება. არსებობს ჩემპიონატების განახლების რამდენიმე ვარიანტი. მოგეხსენებათ, რომ უეფას ჩემპიონთა ლიგისა და ევროპა ლიგის გათამაშება აქვს დასასრულებელი. იქიდან გამომდინარე, რომ დღევანდელი მდგომარეობით ჩემპიონატების განახლების კონკრეტული თარიღი უცნობია, არსებობს რამდენიმე ვარიანტი, როდესაც ევროპაში შიდა ჩემპიონატები განახლდება. განახლების თარიღზეა დამოკიდებული ევროტურნირების ფორმატიც. ამ მდგომარეობით ჩემპიონთა ლიგის ფინალის გამართვის თარიღად 27 ივნისი სახელდება.

მოვლენების ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში ჩვენთვის ყველაზე საინტერესო მატჩი ბელარუსის წინააღმდეგ ივნისის დასაწყისში გაიმართება. თუმცა მანამდე უნდა განახლდეს ის ჩემპიონატები, სადაც ჩვენი ლეგიონერები ასპარეზობენ და ქვეყნებს შორის გადაადგილება უნდა გახდეს უსაფრთხო. ამასთან ერთად ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ფეხბურთელების ჯანმრთელობაზე ვიზრუნოთ.

გადავიდეთ უეფას გეგმებზე...

ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოსთვის მნიშვნელოვანია ეროვნული ჩემპიონატების სეზონის დასრულება. უეფამ ასევე შექმნა ჯგუფი, რომელიც უახლოეს ხანებში მდგომარეობის მონიტორინგით შეისწავლის თუ როგორ გააგრძელებენ ჩემპიონთა და ევროპა ლიგის გათამაშებებს.

სადღეისოდ, თავად უეფას ყველა შეჯიბრება, მამაკაცთა და ქალთა შორის (ამხანაგური მატჩებიც) გაურკვეველი ვადით გადადებულია. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ლიგებისა და კლუბების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომლებიც იმუშავებენ ახალ კალენდარზე, რისი მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მიმდინარე სეზონის დასრულება.

თავის მხრივ, 2021 წლის ზაფხულში დაგეგმილი ევროპის 21-წლამდე ჩემპიონატი და ერთა ლიგის ა დივიზიონის ფინალური ეტაპი 2022 წლის ზაფხულში გაიმართება. ეს ფანჯარა თავისუფალია, რადგან 2022 წლის მუნდიალს ყატარი ისედაც დეკემბერში უმასპინძლებს.

ჩემპიონთა ლიგის ფინალი, რომელიც 30 მაისს სტამბულში უნდა ჩატარებულიყო, 27 ივნისს გაიმართება. კორონავირუსის გამო, კალენდარში დიდი სიმჭიდროვეა და უეფამ თარიღი გადასწია.

ევროპა ლიგის ფინალი, 27 მაისის ნაცვლად, 24 ივნისს ჩატარდება პოლონეთის ქალაქ გდანსკში.

ჯერჯერობით უცნობია, როდის გაიმართება მეოთხედფინალები და ნახევარფინალები.

უეფა ასევე ადასტურებს, რომ მიმდინარე სეზონში შეცვლილი კალენდრის გამო, შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგის მატჩები უქმეებზე, ანუ შაბათ-კვირას, ხოლო შიდა ჩემპიონატების თამაშები შუა კვირაში გაიმართოს.

## მაინც ჩავატარებთ!

### ოლიმპიადის გადადება არ იგეგმება




მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის ხელისუფლებამ დაადასტურა ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისა და ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის კოზო ტაშიმას კორონავირუსით დაავადება, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) განცხადებით, კორონავირუსის გავრცელების მიუხედავად, წლეულს ოლიმპიური და პარაოლიმპური თამაშების ჩატარებასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე რამე მკაცრი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არის.

სოკი ტოკიო 2020-ის გადადებას ან გაუქმების სპეკულაციებს უარყოფს, გადაჭრით აცხადებს, რომ თამაშები გეგმისამებრ ჩატარდება და ამ საკითხთან დაკავშირებით ნებისმიერი სპეკულაციები კონტრპროდუქტიული იქნება. სოკში მიაჩნიათ, რომ ტოკიოს თამაშებამდე დიდი დროა და სწორედ ოთხწლეულის უმთავრეს ასპარეზობებს აქვს შანსი, ვირუსზე კაცობრიობის გამარჯვების სიმბოლო გახდეს.

სოკი და ტოკიო 2020-ის წარმომადგენლები ურყევნი არიან საკუთარ რწმენაში. მათი განცხადებით, თამაშები 24 ივლისს გაიხსნება.

## კევინ დურანტს კორონავირუსი დაუდგინდა



ამერიკაში კორონავირუსის გავრცელება სწრაფად ხდება. ბოლო ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ ბრუკლინ ნეთსის კალათბურთელის, კევინ დურანტის ტესტი კორონავირუსზე დადებითია. დურანტის გარდა „კოვიდ 19“ ბრუკლინ ნეთსის კიდევ 3 მოთამაშეს დაუდგინდა. მათი ვინაობა უცნობია, რადგან ნეთსის ინფიცირებულთა ოთხეულიდან სიმპტომები მხოლოდ ერთ მათგანს აღენიშნება, დანარჩენ 3 შემთხვევაში სიმპტომები არ ვლინდება.

ბრუკლინ ნეთსის ხელმძღვანელობა აფრთხილებს ყველას, ვისაც კალათბურთელებთან ჰქონდა კონტაქტი, მათ შორის ბოლო მეტოქეებსაც. პარალელურად, კლუბი მჭიდროდ მუშაობს ჯანდაცვის ადგილობრივ ორგანოებთან.

მას შემდეგ, რაც დურანტს კორონავირუსი დაუდასტურდა, ტესტები ლოს ანჯელეს ლეიკერსის ყველა კალათბურთელს ჩაუტარეს და ყველა მათგანი 14-დღიან კარანტინშია. გუნდმა ეს ინფორმაცია დაადასტურა. შეგახსენებთ, რომ ბოლო გუნდი, რომელსაც ბრუკლინი შეხვდა, სწორედ ლეიკერსი იყო (10 მარტს).

– ბრუკლინთან ჩატარებული მატჩის გამო ყველანი რისკის ქვეშ ვართ. შესაბამისად, ჩვენს ყველა კალათბურთელსა და მთელ სტაფს ტესტები ჩაუტარდება. ჩვენი მოთამაშეების, თანამშრომლების, ფანების და მთელი საზოგადოების ჯანმრთელობა ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, – ვკითხულობთ ლეიკერსის განცხადებაში.

სულ ნბა-ში კორონავირუსი 7 კალათბურთელს დაუდგინდა. ესენი არიან: რუდი გობერი, დონოვან მიტჩელი (ორივე იუტა ჯაზი), კრისტიან ვუდი (დეტროიტი), კევინ დურანტი და ბრუკლინის კიდევ 3 მოთამაშე, რომელთა ვინაობა ჯერ არ გახმაურებულა.

შეგახსენებთ, რომ რეგულარული სეზონი 12 მარტიდან, მას შემდეგ შეჩერდა, რაც კორონავირუსზე დადებითი პასუხი გობერის ტესტმა აჩვენა. როდის და რა ფორმით განახლდება სეზონი, ჯერ უცნობია.

გადავიდეთ ფეხბურთზე, სადაც კიდევ ერთი დაინფიცირებული გამოჩნდა: ტურინის იუვენტუსმა განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც კორონავირუსი კლუბის კიდევ ერთ ფეხბურთელს დაუდგინდა – დანიელე რუგანის შემდეგ, ინფიცირებული ბლეზ მატუიდი აღმოჩნდა.

ტურინული გუნდის ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ მატუიდის კორონავირუსი დაუდგინდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონი თავს კარგად გრძნობს და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშაა. ამავდროულად, მატუიდი 11 მარტიდან თვითიზოლაციაში იმყოფებოდა.

გენუის სამპდორიაში ინფიცირებულ ფეხბურთელთა რაოდენობა 5-დან 7-მდე გაიზარდა. ბოლო ინფიცირებულნი ფაბიო დეპაოლი და ბარტოშ ბერეჟინსკი არიან.

იტალიაშივე კორონავირუსი დაუდასტურდა საფეხბურთო კლუბ ვერონას ნახევარმცველ მატია ძაკანის.

კიდევ უფრო სწრაფად ვრცელდება კორონავირუსი ლა ლიგაში. ამჯერად, ესპანიოლმა დაადასტურა, რომ გუნდის ფეხბურთელებსა და ტექნიკურ პერსონალს შორის, კორონავირუსით 6 ადამიანი დაინფიცირდა.

კატალონური გუნდი მათ ვინაობას არ ასახელებს და წერს, რომ ყველა მათგანს მსუბუქი სიმპტომები აღენიშნება. ისინი ექიმების დაკვირვების ქვეშ იმყოფებიან და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მითითებებით მოქმედებენ.

ესპანეთში ყველაზე მეტად ვალენსია დაზარალდა, რადგან კლუბის წარმომადგენელთა 35% დაინფიცირებულია.

## ბრიტანული ტელევიზიები ფეხბურთიდან კუთვნილი ფინანსების მიღებას აპირებენ




კორონავირუსის გამო ინგლისში დიდი სამართლებრივი დავისთვის ემზადებიან. პანდემიის გამოცხადების გამო ბრიტანეთში სეზონი შეჩერდა და არავინ იცის როდის გაგრძელდება, ან საერთოდ გაგრძელდება თუ არა.

როგორც უკვე ვწერდით, ჩემპიონშიფის 6 გუნდი აპირებს პრემიერლიგას უჩივლოს, თუ სეზონი არ დასრულდება.

ახლა ჯერი ტელევიზიებზეა. პრემიერლიგაში მატჩების ტრანსლირებიდან შესული თანხებით გუნდები დიდ მოგებას ნახულობენ და ევროპის სხვა ჩემპიონატების ფონზე მათი მოგება საგრძნობლად დიდია.

ბრიტანული მედია ავრცელებს ინფორმაციას, რომ სქაი სპორტი და ბითი სპორტი თუ 31 ივლისამდე თავიანთ კუთვნილ თანხას არ მიიღებენ, სამართლებრივ ბრძოლას გეგმავენ. საუბარია დაახლოებით 750 მილიონ გირვანქა სტერლინგზე.

ხსენებულმა ტელევიზიებმა პრემიერლიგას და მასში მოთამაშე კლუბებს თანხა უკვე გადაურიცხეს, შემდეგ კი კორონავირუსის გამო სეზონი შეწყდა. ახლა ტელევიზიები თანხის უკან დაბრუნებას ითხოვენ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

### ბექა!



ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე წახვედი ამ ქვეყნიდან. განგებამ ასე ინება... სულ ოცდაშვიდი წელი იკმარე, რომ კაცურად გეცხოვრა. ამიტომაც ცხოვრობდი ალბათ ასე სისხლსავსე ცხოვრებით. სულ სადღაც გეჩქარებოდა, ყველაფერი გინდოდა მოგესწრო. აკი მოასწარი კიდეც, თვით სიკვდილიც კი...

არ ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი სულის ტკივილი. თურმე რამდენი შემძლებია... შენი უდროოდ წასვლით ამ ქვეყნიდან დამთავრდა ჩემი სიცოცხლეც. შენ, ერთადერთს შემოგხაროდი, მხოლოდ შენ იყავი ჩემი საფიქრალი. ასეა ახლაც, ასე იქნება სულ, ვიდრე სული მიდგას. მუდამ ჩემთან იქნები, გულით გატარებ, ჩემო კოპწია ბიჭო!

მშვიდად განისვენე, ჩემო დარდო და ტკივილო!

*დედა*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პოლონეთის პრეზიდენტი; 2. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 3. პატარა არია ოპერაში; 5. მტრედის ბარტყი; 6. რაიონული ცენტრი გურიაში; 8. ურთიერთდათმობით მიღწეული შეთანხმება; 10. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 12. მოხელე ძველ რომში, რომელიც აწარმოებდა მოქალაქეთა ქონების შეფასებას და აკონტროლებდა მათ მიერ გადასახადების გადახდას; 14. კომპანია „ზარას“ მფლობელი; 15. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 16. საოლქო ცენტრი უკრაინაში.

**თარაზულად:** 1. ტელეგრაფით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება; 4. მიწაში ბინადარი ცხოველი; 7. ხორბლის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 9. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 11. წყალხმელეთა ცხოველი; 12. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 13. გია დანელიას კინოკომედია; 17. მხატვრულ-დეკორატიული სტილი ევროპულ არქიტექტურაში; 18. გემის უკანა ნაწილი; 19. ჩუქურთმა ანუ...; 20. ტბა პერუ-ბოლივიის საზღვარზე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბოტასი; 2. ინტელი; 3. რიეკა; 5. ბახი; 6. ქართლი; 8. აწყური; 11. რქაწითელი; 13. ავოკადო; 14. ვარიეტე; 15. ჰამლეტი; 19. პიკე.

**თარაზულად**: 1. ბუდვაიზერი; 4. თამბაქო; 7. ტალანტი; 9. კარწახი; 10. გრილი; 12. ბიურგერი; 16.; რიტორიკა; 17. კონიაკი; 18. ბიდსტრუპი; 20. ლორნეტი; 21. კოხი; 22. ლემბერგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. დუდა; 2. შაშხი; 3. არიეტა; 5. ხუნდი; 6. ლანჩხუთი; 8. კომპრომისი; 10. ჰიგინსი; 12. ცენზორი; 14. ორტეგა; 15. სოფიტი; 16. ლვოვი.

**თარაზულად**: 1. დეპეშა; 4. თხუნელა; 7. ბუშელი; 9. ტოშიბა; 11. ამფიბია; 12. ცუცხვათი; 13. მიმინო; 17. ბაროკო; 18. კიჩო; 19. ორნამენტი; 20. ტიტიკაკა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 მარტი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 3.1804 | ევრო — 3.4997 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8149 | 100 რუსული რუბლი — 4.1163 |

## ამინდის პროგნოზი 19 მარტისთვის







## 17 მარტიდან

ტარიელ ზოზრაშვილი

# მთელი მსოფლიო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## ოთარ რამიშვილის უცნობი სიმღერები გაცოცხლდება



კომპოზიტორისა და მომღერლის ოთარ რამიშვილის უცნობი სიმღერები უახლოეს მომავალში გაცოცხლდება.

ინიციატივა მის შვილს მიშიკო რამიშვილს ეკუთვნის:

– გადავწყვიტე, ოთარ რამიშვილის ძალიან ბევრი უცნობი და უმაგრესი სიმღერა საზოგადოებას მოვასმენინო.

მინდა, ამ საქმეში ჩავრთო ახალგაზრდა და ნიჭიერი მუსიკოსები. მინდა, ხალხმა გაიცნოს ეს ახალგაზრდები და გაიხსენონ ჩვენი თაობა. აგრეთვე, ვინც კარგად ფლობს მუსიკალურ ინსტრუმენტს და ა.შ., ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს, დამიკავშირდით.

## დემნა გვასალია: „მოდა ჩემი რელიგიაა"



ახალი შოუს წარდგენის შემდეგ, დიზაინერმა დემნა გვასალიამ განაცხადა, რომ მოდა მისი რელიგიაა:

– ზოგ მიმართებაში მოდა ჩემი რელიგიაა. როგორც რელიგიაში, კითხვის ნიშნის ქვეშ არ ვაყენებ, რატომ ვაკეთებ, უბრალოდ ვგრძნობ, რომ ეს სწორია. ძალიან ცოტა რამ მანიჭებს ისეთ სიამოვნებას, როგორსაც ტანსაცმლის შექმნა.

რაც დრო გადის, ვხვდები, რომ შეგიძლია მატერიალური სიკეთეებით სიამოვნების მიღება, მაგრამ სინამდვილეში ისინი არაფერს ნიშნავს. უნდა ვკითხოთ საკუთარ თავებს: რატომ ვხარჯავთ და მოვიხმართ ნივთებს ასე? ნამდვილად გვჭირდება კიდევ ერთი რამის ყიდვა? ალბათ ირონიულია ჩემგან ამ სიტყვების მოსმენა, მაგრამ მეც ხშირად ვეკითხები ამას საკუთარ თავს. ზოგჯერ, ვბრაზდები კიდეც, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ უფრო ეკოლოგიური პროდუქტი, მაგრამ თუ ამას მეტის გაყიდვის მიზნით ვაკეთებთ, მაშინ ყველაფერი აზრს კარგავს.

როდესაც მოდაში ბრენდის დნმ-ს ვახსენებთ, როგორც წესი, ეს ნიშნავს, რომ პროდუქტი ავთენტურია ბრენდთან. ეს ხდება მაშინ, როდესაც პროდუქტზე ასოციაცია ერთ კონკრეტულ ბრენდთან გვაქვს. არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ბრენდი შექმნის ტვიდის ჟაკეტს, როდესაც ჩვენ ვხედავთ ტვიდს, ვფიქრობთ შანელზე. ასეთ პროდუქტზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ავთენტური და ბრენდის ნაწილია. დღეს ბრენდების უმრავლესობას ავთენტურობა არ გააჩნია, ერთნაირი პროდუქტი აქვთ განსხვავებული ლოგოებით. მოდაში ლოგოები ბრენდინგის ყველაზე ადვილი, ზარმაცი და სამარცხვინო გზაა, რომელსაც მეც მივმართავდი და კომერციულად ძალიან გაამართლა. დღემდე ძალიან კარგად იყიდება ის პროდუქტები, რომლებზეც რამდენიმე სამარცხვინო ექსპერიმენტი ჩავატარე. ზოგადად, სჭირდება თუ არა ლოგო, ან სად დავაწერო, უკანასკნელია, რაზეც ვფიქრობ, როდესაც ტანსაცმელს ვქმნი. ჩვენს ბრენდთან ასოციაცია არის ირონიულობა და გარკვეულ საკითხებზე კითხვების წამოჭრა, მაგრამ ირონიას შეუძლია გაგაცინოს, ან პირიქით. ირონიით ძალიან მტკივნეული კითხვების დასმაც შეიძლება და სარკაზმთან ძალიან მცირე ხაზი ჰყოფს. ვალდებული ვარ, ეს ხაზი არ გადავკვეთო.

## იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, მახსოვს, შენ და ლელას დიდი სიყვარული გქონდათ და ახლა როგორაა საქმე?

– დამთავრდა ჩვენი სიყვარული...

– რა, დაშორდით?

– არა, დავქორწინდით.

●●●

კაცი ქუჩაში მიმავალ ლამაზ გოგონას ეუბნება:

– გოგონი, მამაშენი უდიდესი კულინარი ყოფილა...

– და თქვენ რა იცით?

– ორი კვერცხისგან ასეთი სასწაული შექმნა!..

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– მწვანე ჩაით გახდომა მართლა შეიძლება?

– რა თქმა უნდა, მხოლოდ შენ თვითონ თუ დაკრეფ...

●●●

ქორწილია. პატარძალი სიძეს ეუბნება:

– სამი შვილი გვეყოლება.

– საიდან იცი?

– სოფელში ბებიასთან მყავს დატოვებულები...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– გუშინ სახლში როგორ მიხვედი?

– ნორმალურად... ტელეფონის გამოცვლას მაინც ვაპირებდი... და არც იმ ორ კბილის ვიყენებდი მაინცადამაინც...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რეალის ყოფილი პრეზიდენტი რეანიმაციაშია



რეალის ყოფილი პრეზიდენტი ლორენცო სანსი მაღალი სიცხით საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის რეანიმაციაში მოხვდა. მისი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და ფატალური შედეგი გამორიცხული არ არის.

ექიმებს ჯერ ზუსტად არ დაუდგენიათ, თუმცა ვარაუდობენ, რომ მას კორონავირუსი აქვს. ლორენცო სანსი რეალის პრეზიდენტი 90-იან წლებში იყო, ხოლო რეალიდან წასვლის შემდეგ კი, ის მალაგას ჩაუდგა სათავეში, სადაც ასევე რამდენიმე წელი დაჰყო.

## ვირჯილ ვან დეიკი: „რთულ მომენტებში ერთმანეთზე უნდა ვიზრუნოთ"



ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა ვირჯილ ვან დეიკმა საზოგადოებას სიმშვიდისკენ მოუწოდა და თქვა, რომ ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა, რომ ადამიანები ერთმანეთს დაეხმარონ და გვერდში დაუდგნენ:

– კორონავირუსი ყველასთვის პრობლემა გახდა და ჩვენ ვხედავთ, თუ რა მდგომარეობაშია მთელი მსოფლიო. ყველა ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ და დარწმუნებული ვარ, რომ კრიზისს დავძლევთ. ფეხბურთი უკვე მენატრება და მინდა, რომ მოედანზე მალე დავბრუნდე.

პრემიერ ლიგა 4 აპრილამდეა შეჩერებული და, სავარაუდოდ, ის მაყურებლის გარეშე განახლდება.

## ბარსელონამ ლაუტარო მარტინესის შეძენა მტკიცედ გადაწყვიტა



ბარსელონას მთავარი სატრანსფერო პრიორიტეტი ზაფხულში ინტერის არგენტინელი ფორვარდი ლაუტარო მარტინესი იქნება.

ბარსელონა მზად არის, ამ ტრანსფერში უსმან დემბელეც ჩართოს, რომელმაც ტრავმების გამო ბარსელონაში თავისი პოტენციალი ბოლომდე ვერ გამოავლინა. ინტერი წინააღმდეგი არ არის, რომ დემბელე და, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მარტინესი ბარსელონაში გაყიდოს. მარტინესის ბარსელონაში ხილვა ძალიან სურს ლიონელ მესის.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბავშვებს ნიანგის გამოტყუების მცდელობა კინაღამ ძვირად დაუჯდათ

ავსტრალიაში ბავშვები შეეცადნენ ნიანგი მდინარის ნაპირზე გამოეტყუებინათ და კინაღამ მის ყბებში ამოჰყვეს თავი. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ავსტრალიის კვინსლენდის შტატში ბავშვების ჯგუფი ნიანგს თვალს მდინარის ნაპირიდან ადევნებდა. ისინი შეეცადნენ მტაცებელი რეპტილია წყლიდან გამოეტყუებინათ იმისთვის, რომ ენახათ თუ რამდენად დიდი ზომის იყო. როდესაც მტაცებელმა პოტენციური ნადავლი იყნოსა, ბავშვებს მიუახლოვდა და მათზე თავდასხმა სცადა.

აღნიშნული ინციდენტი იქვე მიმავალმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ქალმა როზი ვულამ გადაიღო. მისი თქმით, ბავშვები წყალში ქვებს და სხვადასხვა საგნებს ისროდნენ ნიანგის შესაშინებლად, თუმცა რეპტილიას უკან არ დაუხევია. მან მდინარის სიღრმეში მხოლოდ მას შემდეგ ჩაყვინთა, როდესაც შეშინებული ბავშვები მიმოიფანტნენ. საბედნიეროდ არც ერთი მათგანი არ დაშავებულა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გიგი პიანომენი: „მუსიკა მაინც გაიმარჯვებს"



პიანისტი გიგი პიანომენი დარწმუნებულია, რომ მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად, მუსიკა მაინც გაიმარჯვებს:

– გადავხედე მსოფლიო მუსიკალურ ამბებს კლასიკასა თუ ისე ზოგადად არტისტების დღევანდელ მდგომარეობას და მივხვდი იმას, რომ არც ერთი დარბაზი, არც ერთი აგენტი, არც ერთი კლუბი, ბარი თუ კაფე არ ფიქრობს იმაზე, თუ როგორ დაეხმაროს თავის არტისტს.

ყველა ეს ორგანო გაჩერების შემთხვევაში უხდის ფულს მხოლოდ თანამშრომლებს. არც ერთს არ აუნაზღაურებია მუსიკოსის თუ მომღერლის არანაირი ხარჯი და არც აპირებენ.

კლასიკური პიანისტები ხომ საერთოდ შეიძლება გამათხოვრდნენ. სხვა გასართობ რამეს მაინც დაუკრავს ხალხისთვის. ასე რომ, მიმაჩნია ეს ძალიან ცუდ ტენდენციად. სირცხვილია! არადა მუსიკოსებზეა ამ კომპანიების იმედი და დიდი სტავკა.

ასე რომ, გამაგრდით, კოლეგებო, ჩვენი დრო სულ იქნება და არის! მსოფლიომ ამაზე უნდა იზრუნოს!

ჩემი აზრია ეს და მგონი ყველა მუსიკოსის ობსაიდში ისე გვიკრეს თავი ყველას, თითქოს არ ვყოფილვართ!

მუსიკა მაინც გაიმარჯვებს.

## ბალერინა ნატალია პაპინაშვილი გარდაიცვალა



ოსლოში საქართველოს დამსახურებული არტისტი, 1962-1968 წლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი ნატალია პაპინაშვილი გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა და საბალეტო დასმა გაავრცელა და დიდი გულისტკივილი გამოხატა მისი გარდაცვალების გამო.

თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ბალერინამ სტაჟირება გაიარა სანკტ-პეტერბურგის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ნატალია დუდინსკაიას და კონსტანტინ სერგეევის კლასში.

ნატალია პაპინაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა ერევნისა და ყაზანის თეატრების საბალეტო დასების წამყვან სოლისტად. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან კი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ამერიკაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, კანადაში. გარდაცვალებამდე იგი ნორვეგიის ქალაქ ოსლოში „ბარდერ დანს აკადემიის" პედაგოგი იყო

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 19 მარტისთვის

**ვერძი** – ნუ იაქტიურებთ და ნუ იჯიუტებთ. მოულოდნელი ინფორმაცია გეგმებს შეგიცვლით. **კურო** – ყველა უსიამოვნება დავიწყებას მიეცემა. ფორტუნა გიღიმით. განსაკუთრებით უმართლებთ შემოქმედებით სფეროში მომუშავე ადამიანებს. **ტყუპები** – სამსახურში კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი გელით. ეცადეთ, ნებისმიერი პროვოკაცია თავიდან გონივრულად აიცილოთ. **კირჩხიბი** – დღის პირველ ნახევარში ერიდეთ საქმიან შეხვედრებს. ემოციური ფონი ძალზე მაღალია, რაც სწორი დასკვნების გამოტანაში ხელს შეგიშლით. **ლომი** – პროფესიულ საქმიანობაში შეცდომის დაშვების ალბათობა დიდია. საკუთარი პრინციპების დათმობა მოგიწევთ. **ქალწული** – გადაღლილი ხართ. ახლობლების შენიშვნები მშვიდად მიიღეთ. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. **სასწორი** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. მიენდეთ ინტუიციას. ემოციები აკონტროლეთ. **ღრიანკალი** – ოჯახში არასტაბილური სიტუაციაა. სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. ერიდეთ საქმის გარჩევებს ახლობლებთან. **მშვილდოსანი** – უარი თქვით მოგზაურობასა და მივლინებებზე. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თხის რქა** – აგრესიისა და მკვეთრი გამოთქმებისაგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. წარმატება მხოლოდ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. **მერწყული** – ახალი წამოწყება გაამართლებს. ბედი გწყალობთ. სამსახურში ერიდეთ ინტრიგებში ჩართვას. **თევზები** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ორგანიზმი გაიწმინდეთ. მიირთვით ჯანსაღი საკვები. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რაიმე ნაკეთობის შემცირებული ნიმუში; 2. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 3. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 5. მინერალური წყლების ძველი ქართული სახელწოდება; 6. ფულის ერთეული ავსტრალიაში; 8. მგალობელი ჩიტი; 11. სასტუმრო „თბილისი-მარიოტის" ძველი სახელწოდება; 13. ყურძნის შაქარი; 14. ქართველი მევიოლინე ქალი; 15. ხორვატიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი. 19. ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული.

**თარაზულად:** 1. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 4. უნგრული არმიის ძველი სახელწოდება; 7. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 9. ინდონეზიის დედაქალაქი; 10. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 12. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 12. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 17. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 18. ჰიუგოს რომან „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის" პერსონაჟი; 20. დაჩეჩილი მატყლი წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 21. საზღვაო-სავაჭრო ხელშეკრულება; 22. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

